ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba
akhalitaoba.ge

## „სააკაშვილი საქართველოს გათურქებას აპირებს“

გვ.4



ვაჰაგან ჩახალიანის პროვოკაციული განცხადება

ხუთშაბათი, 29 ნოემბერი, 2018 №283 (7828) ფასი: 60 თეთრი

# საქართველოს ახალი პრეზიდენტი ჰყავს



გვ.3

## მიხეილ სააკაშვილი: „შედეგებს არ ვაღიარებთ და გავდივართ ქუჩაში“




## „ეს იყო არჩევანი ცუდსა და უარესს შორის“

გვ.2

რა მოტივით მისცეს ხმა ამომრჩევლებმა საპრეზიდენტო არჩევნების მე-2 ტურში



## „ოცნებას“ ხისტი პრეზიდენტი აწყობს“

გვ.7

## „რა გრიშა, რა სალომე, გაგიჟდი?!“

ცოლ-ქმარმა საარჩევნო ყუთთან იჩხუბა

გვ.4

## „შუა კვირაში იმიტომ დანიშნეს არჩევნები, რომ ნაკლებ ხალხს მიეცა ხმა“

გვ.5

## ნიკა გვარამია: „სალომე ლეიბორისტების, გირჩის და უსუფაშვილის ამომრჩევლით იგებს“

გვ.2

### ეკონომიკა

გვ.6

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები 52 მლნ ლარზე მეტი დაჯდა





რა უნდა, რატომ იხდიდა 6 მილიონი ლარის გადავადებაში 4 მილიონს?

გვ.5




გვ.6

მერიის მიერ დაწუნებული პროექტები

ISSN 1987-9385

**8** რუსეთში სტალინიზმის რესტავრაცია გრძელდება

**7** შსს-მ გლდანში ჟურნალისტის ცემის ფაქტზე გამოძიება დაიწყო

**8** პოროშენკო: „არსებობს რუსეთთან ფართომასშტაბიანი ომის საფრთხე!“

**7** ქობულეთში 46 წლის მამაკაცი ავტომობილში მოკლული იპოვეს

# „ეს იყო არჩევანი ცუდსა და უარესს შორის“

## რა მოტივით მისცეს ხმა ამომრჩევლებმა საპრეზიდენტო არჩევნების მე-2 ტურში

ნათია ხურცილავა



საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური უპრეცედენტოდ მაღალი აქტივობით გამოირჩეოდა. საარჩევნო უბნებთან, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების მსგავსად, ამომრჩეველთა რიგი იდგა. ასევე მრავლად იყო საარჩევნო უბნებთან პოლიციის ეკიპაჟებიც მობილიზებული.

საბურთალოს 23-ე საარჩევნო უბანზე 16 საათისთვის მისულ ამომრჩეველს რიგში მოუწია დგომა.

საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში საპენსიო ასაკის მოქალაქეები აფიქსირებდნენ თავიანთ საარჩევნო პოზიციას. მეორე ტურში არჩევნების რიგში ძირითადად ახალგაზრდა და შუახნის ამომრჩეველი იდგა.

***– რიგში რომ გიწევთ დგომა, ამაზე რას იტყვით?***

– რას ვიზამთ, მთავარია ჩვენი მოქალაქეობრივი ვალი მოვიხადოთ. ჩვენ კი ვიხდით ვალს ჩვენი ქვეყნის წინაშე, მაგრამ ჩვენ მიერ დაქირავებული ხალხი მერე ვერ ამართლებს სამწუხაროდ, – გვითხრა ერთ-ერთმა ახალგაზრდა ამომრჩეველმა, რომელმაც „ახალ თაობასთან“ ვინაობის გამხელისგან თავი შეიკავა.

**ნოდარ ვაშაკიძე, პენსიონერი:**

– პირველ ტურშიც მივიღე მონაწილეობა და მეორე ტურშიც მოვედი, რათა ჩემი პოზიცია დავაფიქსირო. არაფერი არ მაქვს დასამალი, გეტყვით კიდეც, თუ ვის მივეცი ხმა, ხმა სალომე ზურაბიშვილს მივეცი.

***– რატომ?***

– ძალიან მომწონს. მას თავისი ეშხი აქვს. ჭკვიანი ქალია, ცნობილი დიპლომატი იყო, ჩემთვის ძალიან საინტერესო წარსული აქვს და ამიტომაც მივიღე ეს გადაწყვეტილება. ის ბინძური ბრალდებები, რომლებიც მისი მისამართით ისმოდა მთელი ამ ხნის მანძილზე, ჩემთვის სრულიად მიუღებელი და ამორალური იყო. წიხლებით შედგნენ, როგორ შეიძლება. ეს ქართველ მამაკაცს ღირსებას ნამდვილად არ მატებს.

***– თქვენ „ქართული ოცნების“ ამომრჩეველი ხართ თუ პირადად სალომე ზურაბიშვილის?***

– 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე მე ხმა „ქართულ ოცნებას“ მივეცი. რომ გითხრათ, დიდად გამიმართლა იმედები „ქართულმა ოცნებამ“-თქო, მართალი არ ვიქნები, მაგრამ სხვა არჩევანი უბრალოდ არ არის.

ყველაზე მთავარი ჩემთვის მაინც მაღალი კომუნალური გადასახადები და წამლების ფასია. გაიაფდება წამლებიო, რომ გვეუბნებოდნენ, მოგვატყუეს, აბა რა ქნეს, არაფერიც არ გაიაფებულა, პირიქით, ყოველდღე მატულობს. მე მეუღლეც პენსიონერი მყავს, ახლა ჩვენ წამლები ყოველდღე გვჭირდება, ამაში მიდის მთელი ჩემი ფული.

**გიგი კაპანაძე, ამომრჩეველი:**

– გაგიჭირდათ არჩევანის გაკეთება?

– სიმართლე გითხრათ, საერთოდ არ ვაპირებდი არჩევნებზე მოსვლას, მაგრამ მაინც ვერ დავრჩი სახლში. არ ვაპირებდი მოსვლას იმიტომ, რომ ძალიან ცუდი არჩევანის გაკეთება მომიწია. ჩემთვის ეს იყო ცუდსა და უარესს შორის არჩევანი.

***– კანდიდატების გამო?***

– რასაკვირველია. არც ერთი კანდიდატი და არც მეორე კანდიდატი ჩემ სიმპათიას არ იწვევს. ახლა ვილაც იტყვის, ეს არჩევანიც ხომ ხალხის მიერ არის გაკეთებული, სწორედ ეს კანდიდატები გადაიყვანა მეორე ტურში, მაგრამ ეს არ არის სწორი დასკვნა. მე ვფიქრობ, თავის დროზე „ქართულ ოცნებას“ სხვა კანდიდატი უნდა დაეყენებინა. ბევრად უფრო ძლიერი კანდიდატი და ამ შემთხვევაში მეორე ტურიც არ იქნებოდა საჭირო. თუმცა, მე მაინც გავაკეთე ჩემი არჩევანი.

**გოგი, 27-ე საარჩევნო უბნის ამომრჩეველი:**

– საერთოდ არ გამჭირვებია არჩევანის გაკეთება. მე ვიცოდი და გააზრებული არჩევანით მოვედი და შემოვხაზე ის კანდიდატი, რომელიც ამ ქვეყანას არ აბრალებს ყველაზე ცუდ რამეს, რაც მხოლოდ მოღალატეს შეუძლია დააბრალოს თავის სამშობლოს.

არ შეიძლება მთავარსარდალი გახდეს ის პიროვნება, რომელიც ცხინვალის დაბომბვას საქართველოს აბრალებს. რა შუაშია აქ ევროპელობა, საიდანაც გინდა, იქიდან იყავი, თუ რუსების საქმეს გააკეთებ! ამიტომ მე ძალიან ღირსეული არჩევანი გავაკეთე და საერთოდ არ მქონია დასაფიქრებლად საქმე, თუ რომელი კანდიდატი ამერჩია. მე იმედი მაქვს, რომ მოღალატეობრივი პოლიტიკა არ გაგრძელდება.

**ლამარა გრძელიშვილი, პენსიონერი:**

– პირადად ივანიშვილმა დამირეკა და არჩევნებზე მომიწვია.

***– ავტომოპასუხეზე იყო მისი ხმა ჩაწერილი.***

– რა მნიშვნელობა აქვს, ხომ დამირეკა. ხმა სალომე ზურაბიშვილს მივეცი.

***– რას ელოდებით მისგან, თუ პრეზიდენტი გახდა?***

– აუცილებლად გახდება. ძალიან მომწონს, ქალია, ჭკვიანია, რა ვიცი, შვილო, ყველაფერს კარგს ველოდები.

***– ძალაუფლება რომ შეზღუდული აქვს?***

– როგორ, პრეზიდენტია და მეტი რა ძალაუფლება უნდა! მთავარია, შვილო, მშვიდობა იყოს, ერთმანეთი არ დავჭამოთ. არ იყოს ის, რასაც ყოველდღე ტელევიზორში ვუყურებ.

ასე ცოტანი ვართ ქართველები და მაინც ერთმანეთს ვჭამთ. რა გახდა ეს ძალაუფლება ასეთი, რომ ერთმანეთს ასე ვიმეტებთ. ვნახოთ, რა მოხდება. ძალიან მინდა, რომ არეულობა არ იყოს და ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდეს. ისე კი ძალიან ვნერვიულობ, რა მოხდება.

**24-ე საარჩევნო უბნის ამომრჩეველი:**

– რა თქვენი საქმეა, მე ვის მივეცი ხმა. ამომრჩეველი ვარ, მოვედი და ხმა მივეცი იმას, ვისაც ჩემი ქვეყნის მომავალს ვანდობ. არ შეიძლება მოღალატე ხალხმა აირჩიოს და მას მისცეს ხმა. მე ხმა მივეცი იმას, ვინც არ ამბობს, რომ ომი საქართველომ დაიწყო, თან რუსეთთან.

არ შეიძლება ყველაფერი ერთი კაცის ხელში იყოს მობილიზებული. აუცილებელია ძალაუფლების გადანაწილება. თავიდან ხომ ამბობდა ივანიშვილი, ოპოზიციამ წაიღოს პრეზიდენტის სკამიო და რა ტრაგედია იქნება იმაში, თუ ოპოზიციის კანდიდატი გაიმარჯვებს, არ მესმის. დემოკრატიისთვის უკეთესია, თუ ძალაუფლება დანაწილებული იქნება და ერთმანეთს გააკონტროლებენ.

მე ბათუმში ვმუშაობ, თბილისელი კაცი ვარ, სპეციალურად ჩამოვედი, რომ ხმა მიმეცა. არ შეიძლება ერთი და იგივე წრეზე ვტრიალებდეთ და წინ არ წავიწიოთ. საქართველოს სხვა გამოსავალი არ აქვს, თუ არა დემოკრატიული მმართველობა. ამას უნდა მიხვდეს ყველა.

**საბურთალოს 27-ე საარჩევნო უბნის ამომრჩეველი:**

– არ დაგიმალავთ, რთული არჩევანი იყო. ცოტა ხანი რიგშიც კი მომიწია ყოფნა. არც ერთი და არც მეორე კანდიდატი ჩემში სიმპათიას არ იწვევს. საერთოდ არ მინდოდა არჩევნებზე მოსვლა, მაგრამ მაინც მოვედი.

***– თუ ასეთი რთული იყო არჩევანი, როგორ მიიღეთ გადაწყვეტილება?***

– გადაწყვეტილება მაინც მივიღე. პირველ ტურში სულ სხვა კანდიდატს მივეცი ხმა, მაგრამ, სამწუხაროდ, მან ბარიერი ვერ გადალახა. არ დაგიმალავთ, დავით უსუფაშვილს მივეცი ხმა, მაშინ არც დავფიქრებულვარ, ისე გავაკეთე ეს არჩევანი. არ მეგონა, რომ ბარიერს ვერ გადალახავდა.

**ეთერ მაისურაძე, პენსიონერი:**

– ძლივს მოვედი აქამდე, გადასატანი ყუთი მოვითხოვე, მაგრამ არ მომიტანეს, უნდა მოხვიდეო.

***– ასეთი მნიშვნელოვანი იყო თქვენთვის არჩევნებში მონაწილეობა?***

– არც ერთი არჩევნები არ გამომიტოვებია. მე კი მოვდივარ ყველა არჩევნებზე, მაგრამ მერე არაფერიც არ იცვლება. მაინც მოვედი. ვნახოთ, რა მოხდება. დიდს არაფერს არ ველოდები, მაგრამ ასეთი ერთმანეთის დაჭმაც არ შეიძლება.

ტელევიზორს რომ ვრთავ, გული მისკდება, ისეთი ნიაღვარი მოდის, გაუტანლობის, შურის, ღვარძლის. ასე როგორ შეიძლება. ერთმანეთზე იწევენ, ლამისაა, ამ არჩევნებით მთავრდება ყველაფერი. არადა დროებით ვირჩევთ, სამუდამოდ ხომ არა, რა ხდება ამისთანა, ვერ გავიგე.

❖ ❖ ❖

საარჩევნო უბნებთან, მიმდებარე ტერიტორიაზე საპატრულო პოლიციის რამდენიმე ეკიპაჟი იყო მობილიზებული. ჩვენს კითხვაზე – თუ რატომ არის ასეთი დიდი რაოდენობით პატრული მობილიზებული? ერთ-ერთმა ასე გვიპასუხა:

– უსაფრთხოებისა და პრევენციული ღონისძიებიდან გამომდინარე.

# მეზვრიშვილი: „ჩუმლაყში სროლა არჩევნებს არ უკავშირდება“



შს მინისტრის მოადგილე მეზვრიშვილი ამბობს, რომ ჩუმლაყში მომხდარი სროლა საარჩევნო პროცესს არ უკავშირდება. მისი თქმით, გასროლა პირველადი ინფორმაციით, განხორციელდა ჩუმლაყის მე-19 უბნიდან მოშორებით მდებარე დასახლებულ უბანში არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი მოქალაქის მიერ, სავარაუდოდ, ე.წ. სასიგნალო იარაღიდან და მას არანაირი კავშირი პოლიტიკასთან არ აქვს.

– მსურს გამოვეხმაურო ჩუმლაყში მომხდარ ინციდენტს, შს სამინისტრომ გამოძიება დაიწყო დაუყოვნებლივ სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით. ამ ეტაპზე, როგორც მოწმეებთან გასაუბრებით ირკვევა, აღნიშნულს კავშირი არ აქვს არჩევნებთან და სახეზე არ არის პოლიტიკური მოტივი. გასროლა პირველადი ინფორმაციით, განხორციელდა ჩუმლაყის მე-19 უბნიდან მოშორებით მდებარე დასახლებულ უბანში არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი მოქალაქის მიერ, სავარაუდოდ, ე.წ. სასიგნალო იარაღიდან. ეს ადამიანი ამჟამად პოლიციის განყოფილებაში იმყოფება, – განაცხადა ნათია მეზვრიშვილმა.

არსებული ინფორმაციით, ცეცხლი „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს გაუხსნეს, რომელთა შორისაც მიხეილ სააკაშვილი ძმა, დავით სააკაშვილიც იმყოფებოდა.

# ნიკა გვარამია: „სალომე ლეიბორისტების, გირჩის და უსუფაშვილის ამომრჩევლით იგებს“



ედისონ რისერჩის ეგზიტპოლები ნიკა გვარამიამ ასე შეაფასა:

– ეგზიტპოლის კროსტაბულაციით, ლეიბორისტების, გირჩის და უსუფაშვილის ამომრჩეველმა ზურაბიშვილს მისცეს ხმა. ევროპულმა საქართველომ – მთლიანად გრიგოლ ვაშაძეს.

ზემოხსენებული სამი პარტიის მიერ პირველ ტურში მიღებული ხმები ჯამში დაახლოებით იმდენივეა, რამდენითაც იგებს ჯერჯერობით ზურაბიშვილი.

ყოჩაღ სამივე პარტიას. გილოცავთ ქოცობას. მოღალატე სალომე თქვენი პრეზიდენტია. პრაქტიკულად, თქვენი ღალატის და ბიძინას ფულების კომბინაციამ გადაწყვიტა პრეზიდენტად ქვეყნის მოღალატის არჩევა.

# ბაჩუკი ქარდავა: „ბრძოლა ჯერ წინაა! ოლიგარქმა უპრეცედენტოდ თავხედურად გადაუარა ქართველი ამომრჩევლის ნებას!“



საპრეზიდენტო არჩევნები 2018 დასრულდა – მეორე ტურის დასრულების შემდეგ გამოცხადებული ეგზიტპოლების თანახმად, მმართველი გუნდის მიერ მხარდაჭერილი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი ლიდერობს.

აღნიშნულს „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ ლიდერი ბაჩუკი ქარდავა სოციალური ქსელის მეშვეობით ეხმაურება:

– გამაგრდით! ბრძოლა ჯერ წინაა! 2018 წლის 28 ნოემბერს გაერთიანებულმა ოპოზიციამ უპრეცედენტოდ დიდი მხარდაჭერა მოიპოვა ქართველი ხალხისგან, ოლიგარქმა უპრეცედენტოდ თავხედურად გადაუარა ქართველი ამომრჩევლის ნებას! სალომე ზურაბიშვილის გაპრეზიდენტების ლეგიტიმაციის მცდელობა პირდაპირპროპორციულია ხელისუფლების სრული დელეგიტიმაციის! მოღალატე ვერასოდეს გახდება ლეგიტიმური პრეზიდენტი! – წერს ქარდავა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# საქართველოს ახალი პრეზიდენტი ჰყავს

## მიხეილ სააკაშვილი: „შედეგებს არ ვაღიარებთ და გავდივართ ქუჩაში“

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს რიგით მეხუთე პრეზიდენტის არჩევა საკმაოდ გაუჭირდა. ყველაზე უფლებაწარკვეთილი პრეზიდენტის ასარჩევად მეორე ტურის დანიშვნა გახდა საჭირო. მეორე ტურში სასოწარკვეთილმა ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა, რომ ეს არჩევნები მათ კანდიდატს მოეგო, რომელსაც რატომღაც დამოუკიდებელის სტატუსი მიანიჭეს.

ხელისუფლების მტკიცებით, არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდა. მათივე თქმით, ნაციონალებს რომ არ ეცადათ გაყალბება, 28 ნოემბერს საქართველოში სულ დემოკრატიის წიოკი იქნებოდა.

ოპოზიციის და არასამთავრობოების ნაწილის თქმით კი, საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები არნახულად გაყალბდა.

ეგზიტპოლების შედეგები ტრადიციულად 20.00 საათზე გამოაცხადეს. იმედის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, სალომე ზურაბიშვილმა 58% მიიღო, გრიგოლ ვაშაძემ კი 42% მიიღო.

რუსთავი 2-ის დაკვეთით ჩატარებული კვლევების თანახმად კი, სალომე ზურაბიშვილს ხმა 55%-მა მისცა, გრიგოლ ვაშაძეს კი 45%-მა დაუჭირა მხარი.

მეოცნებეები რუსთავი 2-ს სულ დეზინფორმატორს ეძახიან, მაგრამ ამ კვლევების შემდეგ კინაღამ ჭეშმარიტების მღაღადებლად შერაცხეს.



ეგზიტპოლების შედეგებით ყველაზე კმაყოფილი ბიძინა ივანიშვილი ჩანდა. ეს გამარჯვება პრინციპში მისი დამსახურებაა. წარუმატებელი პირველი ტურის შემდეგ, სალომე ზურაბიშვილის ბანერებზე საკუთარი ფოტო გამოჭიმა.

არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე ივანიშვილი მთელ საქართველოს ეხვეწებოდა, კიდევ ერთხელ მენდეთ და ერთი წელიც მაცალეთო.

გუშინ, 28 ნოემბერს, ის ამომრჩეველს მადლობებს უხდიდა და ამბობდა, რომ ხალხს ყველა დაპირებას შეუსრულებს.

11-წუთიანი გამოსვლისას მას არც ერთხელ არ უხსენებია მათ მიერ მხარდაჭერილი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი:

– მინდა ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო საზოგადოებას ასეთი გრძნობადობისთვის, ასეთი შეგრძნებისა და რეაქციისთვის. დანარჩენი ალბათ ჩემზეა, მეც რაც დაგპირდით, ყველაფერს გავაკეთებ და გაჩვენებთ, რომ თქვენ გეყოლებათ ხელისუფლება, რომელიც იქნება თქვენს სამსახურში და მაქსიმუმს გავაკეთებთ, რათა გავამართლოთ, რაც დღეს ჩვენ მივიღეთ.

დიდი მადლობა ჩვენს საზოგადოებას და მადლობა გუნდს, რომელმაც თავდადებით იმუშავა, ხარვეზები რაც ჰქონდა, მაქსიმალურად შეეცადა მოკლე დროში აღმოეფხვრა. აუცილებლად ჩვენ ჩვენს ქვეყანას წარმატების გზისკენ წავიყვანთ და უახლოეს რამდენიმე წელიწადში ჩავეწერებით ყველაზე განვითარებული ქვეყნების ოჯახში, – განაცხადა ივანიშვილმა

მადლიერი იყო თბილისის მერი კახა კალაძეც. მისი თქმით, ეს არჩევნები არ იყო მხოლოდ საპრეზიდენტო არჩევნები, ეს იყო ერთგვარი რეფერენდუმი, სადაც ამომრჩეველმა კიდევ ერთხელ უთხრა მკაფიო და ხმამაღალი უარი სიცრუეს, სიძულვილსა და ძალადობას.

– ეს იყო არჩევნები, რომელზეც ამომრჩეველმა კიდევ ერთხელ მოგვანიჭა მანდატი, რათა გავაგრძელოთ მუშაობა ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ, ეკონომიკის განსავითარებლად, ადამიანების სოციალური დაცვის გარანტიების გასაუმჯობესებლად, ჩვენი ქვეყნის საგარეო პოზიციების გასაძლიერებლად.

მაღალი პოლიტიკური პასუხისმგებლობით აღჭურვილი პოლიტიკური ძალისთვის არჩევნები არის საკუთარი საქმიანობის ხელახალი შეფასების საუკეთესო საფუძველი. ჩვენთვის საგულისხმოა საზოგადოების გზავნილები, რომლებიც ჩვენ ამ არჩევნებში მივიღეთ. საზოგადოებამ დაინახა, რომ ჩვენ ამ გზავნილების ნაწილზე რეაგირება უკვე პირველი ტურის შემდეგ, გასული ერთი თვის განმავლობაშიც კი დავიწყეთ. მომდევნო საპარლამენტო არჩევნებამდე, თითოეული დღე დაეთმობა ჩვენი საქმიანობის, მმართველობის ეფექტიანობის გაუმჯობესებას. ამ პასუხისმგებლობას გვაკისრებს ჩვენ ხალხის მიერ დღეს გამოცხადებული ნდობა. თავს უფლებას მივცემ, წინასწარ, არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადებამდე, მივულოცო ჩვენ მიერ მხარდაჭერილ კანდიდატს საპრეზიდენტო არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვება.







დარწმუნებული ვართ, რომ სალომე ზურაბიშვილი იქნება ჩვენი ქვეყნის ღირსეული პრეზიდენტი. ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა საფუძველი უნდა ჩაუყაროს ახალ კონსტიტუციურ ტრადიციას. ის უნდა გახდეს ჩვენი ქვეყნის პირველი ზეპარტიული პრეზიდენტი. დარწმუნებული ვარ, რომ ამ მისიას ქალბატონი სალომე საუკეთესოდ შეასრულებს. კიდევ ერთხელ მინდა გადავუხადო მადლობა თითოეულ ამომრჩეველს მხარდაჭერისთვის. მადლობას ვუხდი „ქართული ოცნების“ წევრებსა და მხარდამჭერებს, ქალბატონი სალომე ზურაბიშვილის მხარდამჭერებს, რომლებმაც შეიტანეს უმნიშვნელოვანესი წვლილი დღევანდელ გამარჯვებაში, – განაცხადა თბილისის მერმა.

ამომრჩეველს მადლობა სალომე ზურაბიშვილმაც გადაუხადა.

– მინდა ყველას ვუთხრა, პირველ რიგში, დიდი მადლობა, ყველას ვუთხრა, რომ დღეს ძალიან მნიშვნელოვანი დღეა. დღეს ჩემს ქვეყანაში გაკეთდა პრინციპული არჩევანი. ამ არჩევანს დღევანდელი და ხვალინდელი საქართველოსთვის აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა. ჩვენ ერთად ვთქვით საბოლოო და მტკიცე უარი წარსულზე, იმაზე, რაც ყველაზე მეტად შეაფერხებდა ჩვენი საზოგადოების გაძლიერებას, წინსვლას და გათავისუფლებას, – განაცხადა ზურაბიშვილმა.

განსხვავებული განწყობა იყო გაერთიანებული ოპოზიციის ბანაკში. მათი საპრეზიდენტო კანდიდატის, გრიგოლ ვაშაძის თქმით, ამ ხელისუფლების საქმე დამთავრებულია.

მიხეილ სააკაშვილის თქმით კი, ეს არჩევნები ლეგიტიმური ვერ იქნება. საქართველოს მესამე პრეზიდენტმა საპროტესტო აქციები დაა-





ანონსა, რომლის მოთხოვნაც ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები იქნება.

– ხალხო, ამ ბინძურმა ოლიგარქმა თავზე გადაგახიათ კანონი, კონსტიტუცია, დემოკრატია, არჩევნების ინსტიტუტი. ამ დღეებში რაც ხდებოდა, ეს არ იყო არც დემოკრატია, არც არჩევნები და ამას არავითარი კავშირი არა აქვს ხალხის ნებასთან. ეს იყო ძველი ბიჭების, ქურდული სამყაროს, აფერისტები და გარეწრები, რომლებიც საქართველოში რაღაც პროცენტი ყოველთვის იყო და არის, შავი სამყაროს წარმომადგენლები, ის ხალხი, ვინც გძარცვავდათ ტრადიციულად, მთლიანად შერწყმული ამ ოლიგარქთან. ეს იყო ძალადობა და არის ძალადობა, ეს არის მოსყიდვა, ეს არის ღიად დარიგება საარჩევნო უბნებში ფულის, ეს არის დაჭრა და ცემა აქტივისტების.

ეს არ იყო არჩევნები და მე არ ვაღიარებ, დღეიდან ბიძინა ივანიშვილი აღარ არის ლეგიტიმური მმართველი. მე არ ვაღიარებ და ქართულ საზოგადოებას მოვუწოდებ, არ აღიაროს ამ არჩევნების შედეგი. ყველა ერის ცხოვრებაში დგება მომენტი, როცა კრიმინალი მთლიანად შეერწყა ხელისუფლებას, როდესაც მთავარი მძარცველი მოაჯდა ყველა ინსტიტუტს, საზოგადოებამ უნდა აიღოს ძალაუფლება საკუთარ ხელში, – აცხადებს სააკაშვილი.

სააკაშვილის მიერ გამოცხადებულ დაუმორჩილებლობაზე გაერთიანებულ ოპოზიციას ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია.

გიორგი ვაშაძის თქმით, ამ დროისთვის მთავარი საკითხი ხმების დათვლა და დაცვაა, შემდგომ გეგმებზე კი გაერთიანებული ოპოზიციის საბჭო იმსჯელებს:

– ნებისმიერ შემდგომ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, ჩვენ სამოქმედო საკითხებზე გაერთიანებულ ოპოზიციას ჰყავს თავისი საბჭო, საბჭო დაჯდება და მიიღებს გადაწყვეტილებას ამასთან დაკავშირებით. მე მეტი კომენტარი არ შემიძლია გავაკეთო, ახლა ჩვენ გადართულები ვართ იმაზე, რომ თითოეული ოქმი მოვიტანოთ ჩვენს შტაბში, დავიცვათ თითოეული ხმა, დავითვალოთ თავიდან ბოლომდე შედეგები და შესაბამის სამოქმედო გეგმას აუცილებლად გაცნობებთ. ჩვენ ვითვლით ხმებს, მე ვარ შტაბის ხელმძღვანელი და ჩემი სამუშაო არის ახლა დღე და ღამე, ბოლომდე უნდა მივიყვანოთ, არანაირად არ ვაპირებთ, რომ შევეშვათ და დავთმოთ. თითოეულ ხმას დავითვლით, ამის შემდეგ გვექნება დამატებითი განცხადებები ნებისმიერ სამოქმედო გეგმაზე, – განაცხადა გიორგი ვაშაძემ.

არჩევნების შედეგებით უკმაყოფილოა „ევროპული საქართველოც“. მისი ლიდერის, გიგა ბოკერიას თქმით, საარჩევნო პროცესში დაფიქსირდა ისეთი ხარვეზები, როგორიც არის ხმის მიცემის ფარულობის, შავი ფულის მასობრივი ბრუნვა, დაშინება და ძალადობის გამო დაუსჯელობა, რამაც დემოკრატიას ზიანი მიაყენა.

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა ოთო კახიძემ 28 ნოემბრის არჩევნებს უკან გადადგმული ნაბიჯი უწოდა.

– ივანიშვილი ცდილობს, რომ უარყოფითი რეიტინგის მქონე კანდიდატი, რომელიც არჩევნების პირველ ტურში ოპოზიციასთან დამარცხდა, ძალით დასვას პრეზიდენტად – კრიმინალური ავტორიტეტების, ადმინისტრაციული რესურსის და კოლოსალური ფულის გამოყენებით.

ამომრჩევლის ტოტალური მოსყიდვა, ზეწოლა, ძალადობა – ეს არის ოლიგარქის საარჩევნო რეცეპტი, რითაც წაგებული ხდება მოგებული და პირიქით.

როგორც წინასაარჩევნო პერიოდმა, ისე კენჭისყრის დღემ დაადასტურა, რომ ეს არ იყო სამართლიანი, დემოკრატიული და კონკურენტული არჩევნები და ჩვენმა ქვეყანამ გადადგა ნაბიჯი უკან. საქართველოს უკეთესი მომავლისთვის ბრძოლა გრძელდება, – აღნიშნავს ოთარ კახიძე.

ეგზიტპოლების შედეგებით უკმაყოფილო იყო დავით ბაქრაძეც. მისი თქმით,

არჩევნების პროცესი ქართული დემოკრატიისთვის მძიმე იყო.

– მინდა ძალიან დიდი მადლობა ვუთხრა თითოეულ ამომრჩეველს, რომელიც დღეს მობრძანდა არჩევნებზე და დააფიქსირა საკუთარი პოზიცია. მადლობა იმ ამომრჩეველს, რომელმაც ეს გააკეთა გაზრდილი რისკის პირობებში, ვინაიდან სამწუხაროდ, ამ არჩევნებზე კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ოპოზიციის და ოპოზიციური კანდიდატის მხარდაჭერა ნიშნავს ძალიან ბევრი პრობლემის შექმნას რიგითი ამომრჩევლისთვის. ამიტომ, განსაკუთრებული მადლობა თითოეულ იმ ადამიანს, ვინ მოიხადა საკუთარი მოქალაქეობრივი ვალი, არ შეეშინდა ზეწოლის, არ დაექვემდებარა მოსყიდვას და გააკეთა ის, რაც მიაჩნდა სწორად მისი სინდისის და სამშობლოს მომავლისთვის.

საარჩევნო პროცესი იყო ძალიან მძიმე და შეიცავდა ძალიან მძიმე დარღვევებს, განსაკუთრებით პირველიდან მეორე ტურამდე, როცა ხელისუფლებამ გამოიყენა მთელი არსენალი მეთოდების, როგორებიც იყო ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, მოსყიდვა, ქუჩის ელემენტების და კრიმინალის გამოყენება და ა.შ. ეს არის უკან გადადგმული ნაბიჯი დემოკრატიისთვის, – აღნიშნა ბაქრაძემ.

მისივე თქმით, „ევროპული საქართველო“ სამომავლო გეგმებს საზოგადოებას ახლო მომავალში გააცნობს.



ანალიტიკოს გია ხუხაშვილის შეფასებით, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური მმართველი გუნდის მიერ მხარდაჭერილ საპრეზიდენტო კანდიდატ სალომე ზურაბიშვილისთვის „პატრიოტთა ალიანსმა“ მოიგო.

როგორც ხუხაშვილი განმარტავს, არჩევნების შედეგები პირველ ტურთან შედარებით ამომრჩეველთა გაზრდილმა აქტივობამ განაპირობა, თავად აქტივობის ზრდა კი სამმა კომპონენტმა.

– აქტივობა მეორე ტურში ბევრად უფრო მაღალი იყო, ვიდრე პირველში, რაც პარადოქსია. აქტივობის გაზრდა მუშაობდა, ბუნებრივია, სალომე ზურაბიშვილის სასარგებლოდ. დამატებითი ელექტორატი სამი ძირითადი სეგმენტისგან შედგებოდა: ქართული პოლიტიკური ელიტის ულტრაკონსერვატორებისგან – ძირითადად „პატრიოტთა ალიანსი“ და მათი ელექტორატი მყავს მხედველობაში. ამან ითამაშა გადამწყვეტი როლი. შეიძლება ითქვას, რომ სალომე ზურაბიშვილისთვის ეს არჩევნები მოიგო „პატრიოტთა ალიანსმა“.

მეორე სეგმენტი იყო ის ამომრჩეველი, რომელთაც არ მოსწონს ხელისუფლება, მაგრამ უფრო მეტად არ უნდა სადიზმის დაბრუნება ქვეყანაში. მათი გამოღვიძება წინა ტურში ვერ მოხდა. მესამე კი გახლავთ საკამათო ინიციატივა, რომელიც მაღალი პოლიტიკური ფასი დაუჯდება პირადად ბიძინა ივანიშვილს საბანკო „შავ სიებთან“ დაკავშირებით. ამ სამმა კომპონენტმა განაპირობა აქტივობის გაზრდა და მოხდა ის, რაც მოხდა, – განაცხადა ხუხაშვილმა.

## გიგა ბოკერია: „მადლობა ყველა მოქალაქეს, ვინც თავისუფალი ნება გამოხატა დღეს და მივიდა საარჩევნო უბნებზე“



ხმის მიცემის ფარულობის მასობრივმა დარღვევამ, შავი ფულის მასობრივმა ბრუნვამ, დაშინებამ, ძალადობამ, დაუსჯელობამ და კრიმინალურ სამყაროსთან დაკავშირებამ უმძიმესი დარტყმა მიაყენა დემოკრატიას და ეს არის მთავარი გამოწვევა, რომელიც დღეს დგას ქართული საზოგადოების მომავლის წინაშე – ევროპული საქართველოს ლიდერი გიგა ბოკერია.

– მადლობა ყველა მოქალაქეს, ვინც თავისუფალი ნება გამოხატა დღეს და მივიდა საარჩევნო უბნებზე. საარჩევნო პროცესი დასრულებული არ არის მანამდე, სანამ არ დაითვლება ყველა ხმა და მინდა მოვუწოდო ჩვენი პარტიის წარმომადგენლებს და ყველა პატიოსან ადამიანს, რომელიც დღეს საარჩევნო უბნებზე არის – ბოლომდე უნდა ვიმუშაოთ, რა პირობებიც არ უნდა იყოს და მაქსიმალურად დავიცვათ ის სტანდარტი დემოკრატიის, რომელიც ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ ხელისუფლების ამ უმძიმესი პოლიტიკის და ქმედების ფონზე.

ხმის მიცემის ფარულობის მასობრივი დარღვევა, ამ ფუნდამენტური უფლების და საკითხის ფეხქვეშ გათელვა კომბინაციაში შავი ფულის მასობრივ ბრუნვასთან, დაშინებასთან, ძალადობის დაუსჯელობასთან და კრიმინალური სამყაროს მასობრივ გამოყენებასთან ერთად – ამან უმძიმესი დარტყმა მიაყენა დემოკრატიას და, ბუნებრივია, ეს არის მთავარი გამოწვევა, რომელიც დღეს დგას ქართული საზოგადოების მომავლის წინაშე, – განაცხადა გიგა ბოკერიამ.

# „რა გრიშა, რა სალომე, გაგიჟდი?!“

ნონა ცაბაძე

## ცოლ-ქმარმა საარჩევნო ყუთთან იჩხუბა



საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურს წინ 5-კვირიანი დაძაბული პერიოდი უძღოდა. საზოგადოება, მედია, სამოქალაქო სექტორი, ამ პროცესში ყველა აქტიურად იყო ჩართული. ჩვენ გვესმოდა შეფასებები, რომ სიტუაცია ლამის სამოქალაქო დაპირისპირებამდე მივიდა. სალომე თუ გრიგოლი?! ამაზე ჩხუბობდნენ და კამათობდნენ ყველგან.

პირველი ტურისგან განსხვავებით, მეორე ტურში ამომრჩევლის აქტივობა შედარებით მაღალი იყო. ბევრ საარჩევნო უბანზე რიგებიც იყო. უბნებზე მობილიზებულნი იყვნენ კოორდინატორები სიებით ხელში. ასევე ყველა საარჩევნო უბანთან ათამდე ავტომობილი იდგა და ყველა მათგანი სავსე იყო ახალგაზრდა მამაკაცებით, ზოგან ქალებითაც. იქაც სიებით და ფურცლებით.

საარჩევნო უბნის თავმჯდომარეები ჩვენთან საუბარში აცხადებდნენ, რომ წინა ტურთან შედარებით ამომრჩეველი აქტიურობდა.

**იამზე წილოსანი, 82-ე უბნის თავმჯდომარე:**

– ჩემს უბანზე 1.279 ამომრჩეველია. დილის 8 საათზე გაიხსნა უბანი და უკვე რიგი იდგა. ვინც დღეს არ ისვენებს და მუშაობს, ყველა შეეცადა, დილით მოსულიყო საკუთარი არჩევანის გასაკეთებლად. დილის 10 საათისთვის უკვე 130-ზე მეტი ამომრჩეველი იყო მოსული და ეს კარგი მაჩვენებელია.

***– პირველ ტურთან შედარებით უფრო მაღალი მაჩვენებელია?***

– დიახ, საგრძნობლად მომატებულია. უწყვეტი ნაკადია. ხალხი სულ შემოდის. დილით გაცილებით მეტი იყო, ალბათ საღამოსაც მოიმატებს.

***– სიმშვიდეა უბანზე?***

– დიახ, სრული სიმშვიდეა. ჩვენთან ექსცესებს ადგილი არ ჰქონია.

**მორის მორჩილაძე, დამკვირვებელი „აპრიორიდან“:**

– საკმაოდ სერიოზული აქტიურობაა უბანზე. ყველაფერი მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობს 82-ე უბანზე, რომელიც თემქის დასახლებაში მდებარეობს.

***– რაიმე დარღვევა ან ექსცესები ხომ არ ყოფილა?***

– დღის პირველ ნახევარში მსგავს ფაქტებს ადგილი არ ჰქონია.

**ინგა ლაჭავა, მე-80 უბნის თავმჯდომარე:**

– ჩვენს უბანზე არჩევნები კანონის ყველა ნორმის დაცვით და სრული სიმშვიდით მიმდინარეობს. არანაირი დარღვევა არ დაფიქსირებულა.

***– პირველ ტურთან შედარებით აქტივობა მომატებულია?***

– შედარებით მომატებულია. დილით მეტი ამომრჩეველი იყო. 12 საათის მონაცემებით 194 ამომრჩეველი დაფიქსირდა. სულ 1.407 ამომრჩეველი გვყავს. დილის 8-დან 9-მდე დიდი აქტიურობა იყო. მერე ცოტა იკლო ნაკადმა, ახლა ისევ მატულობს.

ნაცმოძრაობის დამკვირვებელმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ დილის 8 საათიდან უბანზეა და აკვირდება ვითარებას.

– პოლიცია და ძველბიჭობა დღეს ერთმანეთს ჩაეხუტა. ისინი ერთად არიან მობილიზებულნი. მაქსიმალურად იყენებენ ადმინისტრაციულ რესურსს. დავალება აქვთ მიცემული, რომ ყველამ, ვინც სახელმწიფო სამსახურშია დასაქმებული, დღის პირველ ნახევარში გააკეთოს თავის არჩევანი. დგანან სიებით და ფულსაც არიგებენ, – გვითხრა მან.

**დათო, 58 წლის:**

***– რა განწყობით მოხვედით არჩევნებზე?***

– არცთუ ისე კარგი. ისეთი მობილიზება აქვს „ოცნებას“, რომ, მგონი, სალომე იმარჯვებს.

***– მერე თქვენ ეს არ მოგწონთ?***

– როგორ შეიძლება, რომ მომწონდეს?! ქალი მთავარსარდალი რომ ეყოლება ამ ქვეყანას, აი მაშინ გვეტირება ყოფა. მერე ინანებს ეს ხალხი, მაგრამ გვიან იქნება.

**ნუგზარი, 68 წლის:**

***– გააკეთეთ თქვენი არჩევანი?***

– რა თქმა უნდა, გავაკეთე.

***– თუ საიდუმლო არ არის, ვის მიეცით ხმა?***

– სისხლიანი რეჟიმისთვის არ მიმიცია და დანარჩენი თქვენ გამოიცანით.

**თიკა, 20 წლის, სტუდენტი:**

– ეს ჩემი პირველი არჩევნებია. აქამდე არ ვმონაწილეობდი არჩევნებში. დღეს ჩავთვალე, რომ მნიშვნელოვანი არჩევნებია, რომ იტყვიან, ქვეყნის ბედი წყდება და მეც დავაფიქსირე ჩემი არჩევანი. არ უნდა დავბრუნდეთ წარსულში, ეს ჩვენი ქვეყნისთვის საზიანო იქნება. დიდი იმედი მაქვს, რომ სამართლიანობა იზეიმებს.

**გიული, პენსიონერი:**

***– რამდენად მნიშვნელოვანი არჩევნებია?***

– ძალიან მნიშვნელოვანი არჩევნებია, ველოდებით უკეთესობას და ამიტომ მოვედით ყველანი.

***– რა განწყობები გაქვთ, ოპოზიციის მხარეს ხართ თუ ხელისუფლების?***

– ჩვენი ევროპული წინსვლისთვის მე ხმა მივეცი სალომე ზურაბიშვილს. მინდა, რომ ჩვენი ქვეყანა ევროპისკენ წავიდეს. სალომე ამას ნამდვილად შეძლებს, თუ ხალხის მხარდაჭერა იქნება. კი, იყო წვრილმანი საკითხები, რაშიც არ ვეთანხმებოდი, მაგრამ ამ ორ კანდიდატს შორის უპირატესობა მას მივანიჭე.

**დალი, 59 წლის:**

***– პირველ ტურში მიიღეთ არჩევნებში მონაწილეობა?***

– არა, სამწუხაროდ, არ ვიყავი საქართველოში და ამიტომ. დღეს ძალიან მნიშვნელოვანი არჩევნები ტარდება და ჩემი განწყობაც იმედიანია. ორივე კანდიდატი წარმატებულ მომავალს გვპირდება, თუმცა მე მეყო იმის გამჭრიახობა, გამერკვია, რომელი ცრუობს და რომელი გვეუბნება სიმართლეს. არჩევანიც ამის მიხედვით გავაკეთე. საამისოდ მიჭრის ტვინი.

**გურამი, 62 წლის:**

***– თუ საიდუმლო არ არის, ვის სასარგებლოდ გააკეთეთ არჩევანი?***

– არც ერთის და არც მეორის. ორივე გადავხაზე. ჩვენს ქვეყანას წინ ვერც ერთი წაიყვანს და ვერც მეორე, ორივე უკან გვაბრუნებს. ჩვენ არ გვინდა არეულობა, მთავარია იყოს მშვიდობა, ვინც ამას შეძლებს, იმის მხარეს ვიქნებით. ამ ორი კანდიდატიდან სიმშვიდის გარანტიას არც ერთი არ იძლევა.

❖ ❖ ❖

**82-ე და 81-ე საარჩევნო უბნებზე „ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობის კოორდინატორებს შორის სიტუაცია რამდენჯერმე დაიძაბა.**

ნაციონალური მოძრაობის კოორდინატორმა „ოცნების“ კოორდინატორი ამომრჩევლის იძულებით მოყვანაში დაადანაშაულა:

– მე მოგისმინე, როგორ ურეკავდი ამომრჩეველს და ემუქრებოდი, ახლავ მოსულიყო არჩევნებზე.

ამან „ოცნების“ კოორდინატორი ქალი მდგომარეობიდან გამოიყვანა:

– შენ მეტი საქმე არა გაქვს?! დილიდან უკან დამყვები, ჩემს საუბარს უსმენ, ხან ფოტოებს მიღებ? რა გინდა, რას პროვოკატორობ!

მას შემდეგ, რაც პოლიციელი დაიძრა მათი მიმართულებით, სიტუაციაც განიმუხტა, რომ არა საპატრულო პოლიცია, ალბათ კოორდინატორები ერთმანეთს თმით ითრევდნენ.

საარჩევნო უბნიდან გამოსულმა ამომრჩეველმა ქალმა მეორეს უთხრა:

– ასეთი არჩევნები არ მახსოვს, ხალხი ტერორში ჰყავთ, პირდაპირ ურეკავენ და აიძულებენ, არჩევნებზე მოვიდნენ.

ჩვენს კითხვაზე, თუ ვინ აიძულებს ხალხს, რომ არჩევნებზე მივიდნენ, მან საეჭვოდ შემომხედა და როცა გაიგო, ჟურნალისტი ვიყავი, ჩემი კითხვა უპასუხოდ დატოვა.

იქვე ორი აღშფოთებული ქალის საუბარსაც შევესწარი.

– დილით მირეკავს მობილური, არც დამიხედავს ნომერზე, ისე ვუპასუხე და ლამის ტელეფონი გამივარდა ხელიდან. იქიდან მესმის ბიძინას ხმა, ხმა მიეცით თქვენი შვილების მომავალსო. მანამ არ აუდგა ბიძინას გვერდები, სანამ მე მაგათ არ მივცე ხმა, – თქვა ქალმა.

კოორდინატორების გვერდზე თუ დადგებოდით, ძალიან ბევრ საინტერესო საუბარს მოისმენდით. თუნდაც ასეთს:

– ალო, გამარჯობა, დათო ბიძია, რა ქენით, მიხვედით უკვე არჩევნებზე? არა, კი არ გამოწმებთ, უბრალოდ, ფიქრიას აინტერესებს, დაგიწეროთ თუ არა პლუსი, რა ქნას, ამასაც სთხოვენ.

მეორე კოორდინატორი ქალი:

– 214-ე, 215-ე და 216-ე უკვე მოვიდა. კი, ისიც იყო და დავაპლიუსე. საყვარელიძეები და ჭელიძეები ჯერ არ ჩანან. კიდევ გადავურეკავ.

პირველი მეორე კოორდინატორს:

– ფიქრია, აი ჩემიც მოვიდა მეხუთე მიკროდან და ესეც ჩაწერე. მე ვინც მყავს სიაში, დღის 2 საათამდე ყველა უნდა მოვიდეს, ასე მაქვს ნათქვამი. თუ ვინმე დააგვიანებს, დავურეკავ.

საარჩევნო უბნიდან გამოსულმა მოხუცმა ქალმა კოორდინატორები იცნო და მიუბრუნდა:

– მეტი საქმე არ გაქვთ? აქ რატომ სხედხართ, მეტი საქმე არა გაქვთ? პლუს-მინუსებს უწერთ ხომ, ვინ მოვიდა და ვინ არა. მეც მომნიშნეთ, არ გაინტერესებთ, ვის მივეცი ხმა, თქვე უსაქმურებო?!

ერთ-ერთი აქტივისტი, რომელიც დაახლოებით 30 წლამდე იქნებოდა, ძალიან ხშირად რეკავდა მობილურით და ნერვიულად საუბრობდა. ჩვენ მისი ერთ-ერთი სატელეფონო საუბარი მოვისმინეთ:

– ზურა, რა გინდა ძმაო, რატო მიტრაკებ?! პირველი ტურისგან განსხვავებით აი ნახავთ, შედეგს დავდებთ. ყველაფერი კარგად იქნება, ძმაო. არ გინდა რა ესეთი ტონით საუბარი, ტოო. პირადად მე 1.200 ამომრჩეველი მყავდა სიაში, ნახევარი მოსულია, დანარჩენიც მოვა. ნუ ნერვიულობ, ამდენი რეკვები არაა საჭირო, ყურადღებას ვიქცევ.

❖ ❖ ❖

**ნანა, 48 წლის:**

***– გააკეთეთ თქვენი არჩევანი?***

– დიახ და არც დავმალავ. პირველ ტურშიც სალომეს მივეცი ხმა და ახლაც. სისხლიანი რეჟიმის მობრუნება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. დიდი აქტიურობაა უბნებზე და ძალიან მიხარია, გამოფხიზლდა ხალხი. იმედია, სწორ არჩევანს გააკეთებენ.

**მაია, 52 წლის:**

***– რა განწყობით მოხვედით არჩევნებზე, ან რა მოლოდინი გაქვთ?***

– სიმართლე გითხრათ, მიჭირს თქმა. მეშინია, არ გააყალბონ.

***– ისე ვერ გაიმარჯვებს ხელისუფლების კანდიდატი?***

– ვერა და პირადად მე, არანაირად არ მინდა, რომ გაიმარჯვოს სალომე ზურაბიშვილმა.

***– რატომ? რა მიზეზით?***

– იმ მიზეზით, რომ საერთოდ არაფერი არ არის გაკეთებული, საერთოდ! რაც იყო გაკეთებული, მე მგონი, ისიც გააფუჭეს. მე კარგს ვერაფერს ვერ ვხედავ. დაუხვევიათ ხელზე, რომ აი, ხალხს არ იჭერენ, არ აწამებენო, მაგრამ ეგეც საკითხავია. თურმე ისეთ რაღაცებს აკეთებენ, რასაც ნაციონალები არ კადრულობდნენ.

გვესმის ჩვენ ეს ინფორმაციები და არც მიკვირს. შეხედეთ მათ რიტორიკას, დამოკიდებულებას. სხვების ლანძღვის მეტს არაფერს არ აკეთებენ. შენ თუ საქმის კეთება გინდა, იმაზე ილაპარაკე, შენ რას გააკეთებ, რას პირდები ხალხს და არა იმაზე, იმათმა რა გააფუჭეს და ცუდი რა გააკეთეს.

***– ვაშაძის მოსვლით რა შეიცვლება?***

– ძალიან ბევრი რამ. კი, ნეგატიურიც იყო, მაგრამ ბევრი რამ გაკეთდა ამათ დროს, რასაც გვპირდებოდნენ, იმას აკეთებდნენ კიდეც. მე პირადად მჯერა. ჯერ ერთი, ეტყობათ, რომ არიან პროფესიონალები, თავისი საქმის მცოდნეები. საუბარზეც ეტყობათ, ვის რა კომპეტენცია და აზროვნების დონე აქვს. მე მაქვს განწყობა, რომ ვაშაძე გაიმარჯვებს.

**ოფელია, 75 წლის, პენსიონერი:**

– უკეთესობის იმედით მოვედი არჩევნებზე. პირველ ტურზეც ვიყავი. არჩევნებზე წაუსვლელობა დანაშაულია.

***– როგორ ფიქრობთ, ვინ გაიმარჯვებს?***

– ჩემი აზრით, სალომე. წესიერი და პატიოსანი ქალია. მაფიოზი არ არის და გარეული არ არის ამ სიბინძურეში. ამიტომ დარწმუნებული ვარ, ის გაიმარჯვებს.

ჩვენ კურიოზული შემთხვევაც დავაფიქსირეთ საარჩევნო უბანზე. ხმის მისაცემად მოსულმა ცოლ-ქმარმა უბანთან დაიწყო იმის გარკვევა, თუ ვისთვის უნდა მიეცათ ხმა. ცოლი უმტკიცებდა, ორივე უნდა გადავხაზოთო, ქმარი კი ამტკიცებდა, რომ უმჯობესი იქნებოდა, სალომესთვის მიეცათ ხმა.

**ცოლი:**

– ნუ გადამრიე რა, გია, ამ ბანძებს როგორ უნდა მისცე ხმა, ორივე გადახაზე. ჩვენ ასე შევთანხმდით და რა გეტაკა?! რა პრინციპით ირჩევ სალომეს, მაინც ვერ ვხვდები.

**ქმარი:**

– ბოლო წუთს ასე გადავწყვიტე და რა გინდა, რატომ მიჭედავ?! შენ ვინ გეკითხება, მე ვის მივცემ ხმას?!

**ცოლი:**

– რაც გინდა, ის ქენი, მაგარი გოიმი ხარ, იცოდე. რა გრიშა, რა სალომე, გაგიჟდი?! ორივე უნდა გადახაზო!

❖ ❖ ❖

მცირე ინციდენტებს თუ არ ჩავთვლით, ისიც საარჩევნო უბნებს გარეთ, გლდანი-ნაძალადევის რაიონში არჩევნებმა მშვიდ ვითარებაში და დარღვევების გარეშე ჩაიარა.

# „სააკაშვილი საქართველოს გათურქებას აპირებს“

## ვაჰაგან ჩახალიანის პროვოკაციული განცხადება

შორენა მარსაგიშვილი

**სალომე ზურაბიშვილის მტკიცე მხარდაჭერის მისიით საქართველოში დაბრუნებულმა ვაჰაგან ჩახალიანმა უკვე დაიწყო საქართველოსთვის სახიფათო განცხადებების გაკეთება.**

**სეპარატისტული ორგანიზაცია ჯავახკის დამფუძნებელი აცხადებს, რომ მიხეილ სააკაშვილი საქართველოს გათურქებას აპირებს. ეს განცხადება ძირითადად ეთნიკური სომხების მისამართით იყო გაკეთებული. სომხებს და თურქებს კი ერთმანეთთან ძალიან მძიმე წარსული აკავშირებთ.**



– მე შიში მაქვს, რომ 30 წელში საქართველო მიდის გათურქებას გზაზე. თქვენ უნდა ნახოთ ფაქტები. თქვენ უნდა ნახოთ 10 წლის წინ, 2003 წელს, როდესაც სააკაშვილი მოვიდა ხელისუფლებაში, საქართველოში თურქების დაბადება როგორი იყო და ახლა, 2018 წელს რამდენია. მე ყოველწლიურად ვაკვირდები. თუ გავაკეთებთ „კარტას“, სადაც წითელი იქნება თურქების მაჩვენებელი და მწვანე ქართველების, ნახავთ, რომ ყოველ წელს ეს წითელი ფერი სულ უფრო იმატებს და მწვანე ფერი უფრო ნაკლები ხდება. მე მაქვს რუკა გაკეთებული, – განაცხადა ვახაგან ჩახალიანმა.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა სეპარატისტული ორგანიზაციის წევრი თურქულ საფრთხეზე საუბრობს.

ეს თემა მან ციხიდან გამოსვლისთანავე წამოსწია. ჩახალიანი ციხიდან საოცნებო ხელისუფლებამ გამოიყვანა.

მისი მტკიცებით, მიხეილ სააკაშვილი მიზანმიმართულად ახორციელებდა ანტისომხურ პოლიტიკას. აღსანიშნავია, რომ ამას ხაზი სალომე ზურაბიშვილმა გაუსვა. ეს განცხადება მან ახალქალაქში ყოფნისას გააკეთა.

ეს თემა მეოცნებეებმა აქტიურად აიტაცეს. არადა იგივე ხალხი ახლო წარსულში სააკაშვილის სომხობას ამტკიცებდა.

ჩახალიანის მტკიცებით, 40.000 თურქი-მესხის ჯავახეთში ჩამოსახლება სომხური მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული აქციაა.

– 40,000 თურქს უკვე მიენიჭა მოქალაქეობა საქართველოსა და ჯავახეთში. მაშინ როდესაც 5-6 წლის წინ ნინოწმინდაში ვერც ერთ თურქს ვერ ნახავდით, დღეს ყოველივე მიმართულია იქითკენ, რომ სომხებს მიწების ყიდვის საშუალება არ მისცენ და ამის ნაცვლად მწვანე შუქს უნთებენ თურქებს. 5 წლის წინ მხოლოდ ამ ერთმა რეგიონმა აკრძალა მიწების გაყიდვა სომხებზე, ბოლო 4-5 წლის განმავლობაში ვერ ნახავთ ვერც ერთ სომეხს, რომელმაც ჯავახეთში მიწა შეიძინა, – აცხადებს ჩახალიანი.

მართალია საქართველომ თურქი-მესხების ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების ვალდებულება იკისრა, მაგრამ ჯერ ეს პროცესი არ დაწყებულა. არც თურქი მესხებისთვის მიუნიჭებია საქართველოს მოქალაქეობა.

ჩახალიანი ვიდრე ასეთ სულელურ განცხადებებს გააკეთებს, კარგი იქნება თუ „ოცნება“ გაარკვევს, რომ თურქეთი საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია.

# „შუა კვირაში იმიტომ დანიშნეს არჩევნები, რომ ნაკლებ ხალხს მიეცა ხმა“

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა“ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურზე მოქალაქეებს ესაუბრა. მათმა დიდმა ნაწილმა არჩევნებში მონაწილეობა არ ან ვერ მიიღო.

**მზია, 57 წლის, კერძო სექტორში დასაქმებული:**

– ვერ მივდივარ საარჩევნო უბანზე. მართალია, სამსახური სახლთან ახლოს მაქვს, მაგრამ ისეთი სიტუაციაა, სამუშაოს ვერ მოვცილდები. კვირას რომ ყოფილიყო, მოვიცლიდი.

***– რომ მისულიყავით, ხმას ვის მისცემდით?***

– სალომე ზურაბიშვილს. ეს ქალი გულზე არ მეხატება, მაგრამ ნაციონალების დაბრუნება არ მინდა. ნაცების კანდიდატს ეგ ჯობია. ჩემი ოჯახის წევრებიც ასე ფიქრობენ.

**ირაკლი, საშუალო ასაკის, დროებით უმუშევარი:**

– პირველ ტურში ვიყავი და იმას მივეცი ხმა, ვისიც მჯერა. ახლა არ მივდივარ, იმიტომ, რომ ვერც ნაცებს ვიტან და ვერც ქოცებს. ეგენი ჩემთვის ერთნაირები არიან. მათ კანდიდატებს არ შემოვხაზავ.

***– ბევრს საუბრობენ არჩევნების შემდგომ შესაძლო დესტაბილიზაციაზე. როგორ გგონიათ, იქნება არეულობა?***

– არეულობა არ იქნება. ნაცები და ქოცები ერთად გააგრძელებენ ხალხის მოტყუებას და მართვას.

**მზევინარი, 52 წლის, თვითდასაქმებული:**

– რაიონში ვარ ჩაწერილი. მთელი დღე თბილისში ვიქნები. არჩევნებზე ვერ მივდივარ. დღე და ღამე ლუკმაპურის შოვნაზე ვართ გადასული მე და ჩემი ქმარი, რომ შვილებს საკვები ჰქონდეთ და სკოლაში ნორმალური ტანსაცმლით იარონ.

***– ისე, ვის უჭერთ მხარს?***

– არავის. „ქართული ოცნება“ რომ შეიქმნა, ყველანი მაგ პარტიას ვუკრავდით ტაშს. ეგ ადამიანები თაღლითები და უნამუსოები ყოფილან. თვითონ არაფერი მოიკლეს. მარტო პრემიები იმდენი აიღეს, ჩვენ მთელი ცხოვრება რომ ვერ ვნახავთ. ახლა ვითომ მიხვდნენ, რომ ხალხს უჭირს. მაგათი არც ახლა მჯერა. 2003 წელს და შემდგომ ჩემი ოჯახი სააკაშვილის მომხრე იყო. მე მაშინაც მოწინააღმდეგე ვიყავი. ახლა სააკაშვილი საქართველოს მტრად მიმაჩნია.

**ნინი, სტუდენტი:**

– მივალ საარჩევნო უბანზე. მართალია, პოლიტიკაში არ ვერევი და ტელევიზორსაც არ ვუყურებ, მაგრამ ჩემს არჩევანს დავაფიქსირებ. არჩევანს ვაკეთებ სალომე ზურაბიშვილის სასარგებლოდ. საქართველოში მას არ აქებენ, მაგრამ ევროპაშია ნამუშევარი და ნაცხოვრები. ჩვენ ევროპული ქვეყანა უნდა გავხდეთ და ჯობია, სალომე ზურაბიშვილისნაირი პრეზიდენტი გვყავდეს.

**მედეა, თვითდასაქმებული პენსიონერი:**

– პირველ ტურშიც გრიგოლ ვაშაძეს მივეცი ხმა და მეორე ტურშიც. ოპოზიცია ამბობს, პარლამენტის ვადამდელ არჩევნებს მივაღწევთო და ამას ველოდები. გაუსაძლისი ცხოვრება გვაქვს. თუ ხელისუფლება არ შეიცვალა, კარგი არაფერია მოსალოდნელი. მარიხუანას შესახებ კანონი რომ გაიტანეს, იმას ისევ შეიტანენ და უარესს გაგვიკეთებენ. შუა კვირაში იმიტომ დანიშნეს არჩევნები, რომ ნაკლებმა ხალხმა მისცეს ხმა.



**ცისანა, პენსიონერი:**

– მე სალომე ზურაბიშვილი შემოვხაზე. პირველ ტურში არ ვყოფილვარ. ახლა იმიტომ მივედი, სააკაშვილის ხელისუფლება არ დაბრუნდეს. „ქართულ ოცნებაზე“ ძალიან ვარ განაწყენებული. ხალხი აბუჩად აიგდეს. საპარლამენტო არჩევნებში მარტო ორს შორის ასარჩევი არ გვექნება და „ოცნებას“ არ დავუჭერ მხარს.

ოთხშაბათს რომ დანიშნეს არჩევნები, ეს შეიძლება? ჩემი ოჯახის წევრები ვერ მიდიან ხმის მისაცემად. ყველა ხომ საბიუჯეტო უწყებაში არ მუშაობს, რომ უქმე შეეხოს! ეს საბიუჯეტო მოსამსახურეები ყველანაირი შეღავათებით სარგებლობენ. მაღალი ხელფასებიც მათ აქვთ. სხვებს ამ ქვეყნის მოქალაქეებად არ გვთვლიან.

# „საპრეზიდენტო კანდიდატების საარჩევნო პროგრამებში ქვეყნის ეკონომიკურ პრობლემებთან ბრძოლა იმდენადაა წარმოდგენილი, რამდენიც პრეზიდენტის უფლებამოსილებაა“

რა ადგილი უკავია ქვეყნის ეკონომიკურ პრობლემებს საპრეზიდენტო კანდიდატების საარჩევნო პროგრამებში, რას ჰპირდებოდნენ ისინი ამომრჩევლებს და რამდენად რეალური იყო საპრეზიდენტო კანდიდატების მესიჯები ეკონომიკური მიმართულებით?

ეკონომიკის დოქტორი, **რატი აბულაძე** აცხადებს, რომ საპრეზიდენტო კანდიდატების საარჩევნო პროგრამებში, ქვეყნის ეკონომიკურ პრობლემებთან ბრძოლა იმდენადაა წარმოდგენილი, რამდენიც პრეზიდენტის უფლებამოსილებაა.



საქართველოს პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური, რომელიც არის ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი. მართალია მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკური ძალაუფლება შეკვეცილია, მაგრამ რადგანაც არჩევნებით, ხალხის ნდობის გამოცხადებით აირჩევა მეთაურად, შესაბამისად:

პრეზიდენტის ქარიზმატულ და პოლიტიკურ სიცოცხლისუნარიანობას გავლენის მოხდენა შეუძლია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა უფლებამოსილებების ეფექტიან განხორციელებაზე (ქვეყნის განვითარება ხომ ხელისუფლების ორგანოთა უფლებამოსილებების ეფექტიან განხორციელებაზეა დამოკიდებული);

პრეზიდენტს შეუძლია გლობალურ პოლიტიკაში ქვეყნის გაძლიერება და ლიდერი პოზიციების მოპოვება (რადგან წარმომადგენლობით უფლებამოსილებებსა და მოლაპარაკებებს ახორციელებს საგარეო ურთიერთობებში, სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან);

პრეზიდენტს, ქართული რეალობიდან გამომდინარე, შეუძლია ახალი პოლიტიკური გუნდისა და ახალი პოლიტიკური კონსტრუქციის ფორმირება, რაც ქვეყანაში ახალ ეკონომიკურ ტალღას წარმოქმნის;

როგორც რატი აბულაძე განმარტავს, აღსანიშნავია, საპრეზიდენტო არჩევნების მნიშვნელობა ეკონომიკისათვის. საზოგადოებამ იცის, როგორ მუშაობს ეკონომიკა, როგორ ნაწილდება შემოსავლები, როგორ არის უზრუნველყოფილი სოციალური გარემო, რამდენად არის ეკონომიკურად დაცული ცალკეული საზოგადოებრივი კლასი, რის ხარჯზე მიიღწევა კარგი ეკონომიკური სიახლეები. ფაქტოლოგია ადასტურებს, რომ რამდენადაც ვითარდება ეკონომიკა, ამომრჩეველიც იმდენ ნდობას უცხადებს პოლიტიკურ პარტიებს, მათ მიერ პირდაპირ თუ ირიბად წარმოდგენილ სუბიექტებს.

– საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურში მონაწილე კანდიდატების პრიორიტეტების შეფასების საფუძველზე შეიძლება აღინიშნოს შემდეგი გარემოებები: სალომე ზურაბიშვილის პრიორიტეტებში ხაზგასმულია ტურიზმი, კულტურა, ჯანდაცვა, სპორტი, მედიცინა. აღნიშნულია ქვეყნის ერთიანობისა და დამოუკიდებლობის გარანტიები, საზოგადოების ერთიანობის საჭიროება, რეგიონების გაძლიერება, ევროპული სტანდარტები და ევროკავშირში ინტეგრაცია, ახალგაზრდებისა და დიასპორის როლი. თუმცა აქცენტები გაკეთებული არ არის ისეთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებებზე, როგორიცაა: განათლება და მეცნიერება, ციფრული და საინვესტიციო პოლიტიკა. ჯამში, პროგრამა მწირი და არასრულყოფილია, შესაბამისად ფართო ანალიზის შესაძლებლობასაც არ იძლევა. ასეთი პროგრამა ხაზს უსვავს, რომ პრეზიდენტობის კანდიდატს გუნდში არ ჰყავს „მეზარბაზნეები“ – ეკონომისტებისა და აკადემიური პირების სახით;

გრიგოლ ვაშაძის პრიორიტეტებში ხაზგასმულია განათლებაზე, მეცნიერებაზე, ჯანდაცვაზე. აღნიშნულია ისეთი საკითხები, როგორიცაა: გადასახადები, დასაქმება, სოციალური უსაფრთხოება, ნარკოპოლიტიკა, უსაფრთხოების პოლიტიკა. ნაჩვენებია ეკონომიკის, ტერიტორიული მთლიანობის, გარემოს დაცვისა და თავდაცვის პოლიტიკის საკითხები. პოპულისტურია გადასახადების, აქციზის, დღგ-ს შემცირებაზე საუბარი, რადგან შემცირება ყოველთვის ადვილია, ხოლო ბიუჯეტის შევსების წყაროების მოძიება რთული. უფრო მეტად პოპულისტურია ხელფასებისა და პენსიების ზრდის დაპირებები. გაურკვეველია ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს გაორმაგების გზებიც. იმიტომ, რომ ასეთი უფლებამოსილება პრეზიდენტს არ გააჩნია. ხოლო თუ პოლიტიკურ გუნდს შეუძლია, ერთის მხრივ, გადასახადების, აქციზის, დღგ-ს შემცირება, ხოლო მეორე მხრივ, ხელფასების და პენსიების ზრდა, შეეძლოთ საკანონმდებლო ორგანოში პროგრამების სახით წარმოედგინათ და საზოგადოებისათვის სიკეთე მოეტანათ. ჯამში, შეიძლება აღინიშნოს, რომ პროგრამა გაცილებით უფრო მრავალმხრივია, თუმცა პოპულისტური ჟანრის. გამოირჩევა ტრადიციული მიდგომებითა და ძველი პოლიტიკური აქცენტებით, – აღნიშნავს რატი აბულაძე.

მისივე მტკიცებით, შედარებისათვის, თითოეულზე შეიძლება აღინიშნოს, რომ პრეზიდენტობის კანდიდატის პრიორიტეტები და პოლიტიკური შესაძლებლობები ერთმანეთთან დაშორებულია. შესაბამისად, როგორიცაა მათი საპრეზიდენტო ქარიზმა, პოლიტიკური ტექნოლოგიები და პროგრამები, ისეთივეა საარჩევნო აქტივობა და ამომრჩევლის მიერ მათი „შეფასება“. ამიტომაც გახდა საჭირო ქვეყანაში მეორე ტურის დანიშვნა.

– პრეზიდენტი სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილია. ამიტომ, ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ იმ მოცემულობის ფონზე, როდესაც პოლიტიკური გარემო თავს ვერ ართმევს სოციალურ და ეკონომიკურ გამოწვევებს, საგარეო ვალებსა და პასუხგაუცემელ კითხვებს, ტიტულებს მხოლოდ „პოლიტიკური დრო გაჰყავს“, ხოლო საზოგადოების მდგომარეობა ყოველდღე მძიმდება. პოლიტიკური ასპარეზი არ აქვს საზოგადოებრივ ძალას, რომელიც ქვეყნის აღმშენებლობას შეძლებს. არ გვაქვს პოლიტიკური მოცემულობა, სადაც დამოუკიდებლად შეიძლება ახალი პოლიტიკური და ეკონომიკური ტალღის შექმნა. სამწუხაროდ, მოცემული საპრეზიდენტო არჩევნებიც ამის იმედს არ იძლევა.

გამოსავალი მხოლოდ ისევ იმ ღირსეული პოლიტიკოსებისა და საზოგადოების ხელშია: რომლებიც აღარ ეთანხმებიან ეკონომიკურ და სოციალურ გარემოსთან დამარცხებულ პოლიტიკას და სურთ ახალი პოლიტიკური გარემოს შექმნა;

რომლებიც იღწვიან ახალი პოლიტიკური ძალების აქტივიზაციის ხელშეწყობისთვის (და არა გაკოტრებული პოლიტიკის გაცოცხლებისაკენ);

რომლებიც ისწრაფვიან თავისი კვალი დატოვონ ქვეყნისათვის სასიკეთო პოლიტიკური ველის შექმნით;

რომლებიც ოჯახის, ქვეყნისა და ერის წინაშე თავს მოვალედ თვლიან, შეცვალონ ქართული პოლიტიკური გარემო და ღირსეულად უკვდავყონ თავიანთი სახელი, – განმარტავს რატი აბულაძე.

# რა უნდა, რატომ იხდიდა 6 მილიონი ლარის გადავადებაში 4 მილიონს?

ომეგა ჯგუფის საქმეზე ლონდონის სასამართლოში ბიძინა ივანიშვილის, ანზორ ჩუბინიძის, მოქმედი და ყოფილი მინისტრების დაბარებას მმართველ გუნდში ინფორმაციის ინტერპრეტირებად მიიჩნევენ.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი, მამუკა მდინარაძე, ამბობს, რომ ძნელია, ამ ინფორმაციას პოლიტიკოსმაც კი ირონიის გარეშე შეხედოს.

მამუკა მდინარაძისთვის გაუგებარია, რატომ იხდიდა ომეგა ჯგუფის ხელმძღვანელი, ზაზა ოქუაშვილი, 4 მილიონს 6 მილიონი ლარის გადანაწილებისთვის და მისი თქმით, ისიც ვერ გაიგო, გადაიხადა თუ არა ბიზნესმენმა ეს ოთხი მილიონი.

– ხანდახან დგება მომენტები, როცა პოლიტიკოსმაც კი არ იცის ზუსტად, ირონიის გარეშე რა უპასუხოს. ვცდილობ, ირონია არ გამოვამჟღავნო ამასთან დაკავშირებით, მართლა გულწრფელად, სამართლის მცოდნემ არ ვიცი, რა დაარქვა იმას, რასაც ოქუაშვილი აკეთებს მთელი ამ ხნის განმავლობაში. მართლა, მეც კი ვერ გავიგე და საზოგადოება, ალბათ, საერთოდ დაიბნა, რა უნდა ამ კაცს, რატომ იხდიდა თავის დროზე 6 მილიონი ლარის გადავადებაში 4 მილიონს, ბოლოს გადაიხადა თუ არა, რა თქვა?

ბოლო ეთერში, როცა თქვენი ხელმძღვანელი და ერთ-ერთი ჟურნალისტი ცდილობდა, რაიმე ეთქვა ამ ადამიანს, რისი თქმა უნდოდა, იქაც ვერ გაგვაგებინა. ყველა შემთხვევაში ეს არის მცდელობა, რაღაც ილუზია შეიქმნას. ყველა შემთხვევაში იმაზე მაინც უნდა ჩამოყალიბდეს ეს ადამიანი თუ მისი შემკვეთები, რისი ილუზიის შექმნა უნდათ, – ამბობს მამუკა მდინარაძე.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, გიორგი ვოლსკი კი აცხადებს, რომ უსაფუძვლოა ინფორმაცია, რომ ბიძინა ივანიშვილს და მაღალჩინოსნებს იბარებენ. ვოლსკი ფიქრობს, რომ ინტერპრეტირებულია ეს განცხადებები. მისივე თქმით, თუკი ვინმე მართლაც უნდა წარდგეს რომელიმე ორგანოში, ამისგან თავს არავინ შეიკავებს.

ბიზნესზე შესაძლო რეკეტისა და ზეწოლის საქმეზე ლონდონის სასამართლო ბიძინა ივანიშვილს, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსს, ყოფილ და მოქმედ მინისტრებს გამოკითხვაზე იბარებს.

ზაზა ოქუაშვილის ინტერესების დამცველი ამბობს, რომ სასამართლოში ბიძინა ივანიშვილთან ერთად, დიმიტრი ქუმსიშვილი, ანზორ ჩუბინიძე, ლევან ყიფიანი, გიორგი გახარია და ნოდარ ხადური დაიბარეს.

ადვოკატის თქმით, შეტყობინებაზე პასუხი მას მხოლოდ ყოფილმა ვიცე-პრემიერმა, დიმიტრი ქუმსიშვილმა, გასცა.

რუსთავი 2



# გიორგი ქობულია: „ჩვენ უნდა გავზარდოთ კომპანიების ეფექტურობა და მოვახდინოთ მათი პრივატიზება“

მთავრობა საქართველოს რკინიგზის წილის გაყიდვას გეგმავს. ამის შესახებ ეკონომიკის მინისტრმა გიორგი ქობულიამ „ბლუმბერგთან“ ინტერვიუში განაცხადა.

ამასთან, ქობულიამ აღნიშნა, რომ სახელმწიფო კომპანიის წილების გარკვეული პროცენტის შენარჩუნებას აპირებს.

სტატიის ავტორის, ჰელენა ბედველის მიერ „ბიზნესპრესნიუსისთვის“ მოწოდებულ სტატიაში ვკითხულობთ:

– საქართველო ემზადება სახელმწიფო აქტივების პრივატიზებისთვის. მალე მთავრობა გამოაცხადებს გეგმებს „საქართველოს ფოსტასა“ და „საქართველოს რკინიგზაში“ წილების გაყიდვის შესახებ. სხვა სახელმწიფოს კუთვნილი კომპანიებიც, ისეთი, როგორიცაა საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა, ასევე მოიაზრება პრივატიზაციისთვის. რამდენადაც შესაძლებელია, ჩვენ უნდა გავზარდოთ მათი ეფექტურობა და მოვახდინოთ პრივატიზება. მთავრობამ შესაძლოა, მიიღოს ათობით მილიონი ლარი საქართველოს ფოსტის გაყიდვით, – წერია სტატიაში.

– რამდენადაც შესაძლებელია, ჩვენ უნდა გავზარდოთ კომპანიების ეფექტურობა და მოვახდინოთ მათი პრივატიზება, – განაცხადა ქობულიამ „ბლუმბერგთან“ საუბრისას.

როგორც ქობულია ინტერვიუში აცხადებს, სახელმწიფო საქართველოს რკინიგზის წილების გარკვეული პროცენტის შენარჩუნებას აპირებს. ქობულიას განცხადებით, აქტივების გაყიდვის შედეგად მთავრობა 2025 წლისთვის 7%-მდე ეკონომიკურ ზრდას ელოდება.

მოგვიანებით, ქართულ მედიასთან საუბრისას ეკონომიკის მინისტრმა რკინიგზის შესაძლო პრივატიზება გამორიცხა და განაცხადა, რომ კომპანიაში მხოლოდ რეორგანიზაცია იგეგმება.



– იგეგმება საქართველოს ფოსტის პრივატიზება, ხოლო საქართველოს რკინიგზას და სახელმწიფო ელექტროსისტემას რეორგანიზაცია ელით. საქართველოს რკინიგზა, როგორც ერთ-ერთი სახელმწიფო კომპანია, შედის ეფექტურობის ამაღლების პროგრამაში და ამასთან დაკავშირებით იგეგმება რეორგანიზაცია. აგრეთვე, ვაპირებთ, რომ უფრო მეტი ჩართულობა იყოს კერძო ოპერატორების მოძრავ შემადგენლობასთან დაკავშირებით. ჩვენ უნდა შემოვიყვანოთ კერძო ოპერატორები, რაც ყველა ქვეყანაში მიღებულია, როგორც საუკეთესო პრაქტიკა, – განაცხადა გიორგი ქობულიამ.

რკინიგზის შესაძლო პრივატიზების თემას არასამთავრობო ორგანიზაციები გამოეხმაურნენ. „ჰაბ ჯორჯიას“ დამფუძნებლის განცხადებით, ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს რკინიგზის ტვირთბრუნვა მცირდება და კომპანია მოგებაზე ვერ გადის. შესაბამისად, სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ საქართველოს რკინიგზით მხოლოდ პოლიტიკური ინტერესების მქონე ქვეყანა, ანუ რუსეთი შეიძლება დაინტერესდეს.

მათივე თქმით, ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებით, საქართველოს მთავრობას აღებული აქვს ვალდებულება, რომლის მიხედვითაც რკინიგზის რეფორმირებისა და დეცენტრალიზაციის პროცესი უნდა დაიწყოს. სპეციალისტების განმარტებით, კერძო პირებზე მხოლოდ მოძრავი შემადგენლობის, მათ შორის სავაგონე სისტემის გასხვისებაა შესაძლებელი.

– დღეს საქართველოს რკინიგზაში გვაქვს საბჭოთა მოდელის სტრუქტურული მოწყობა. ერთ ორგანიზაციაში თავმოყრილია ყველა კომპონენტი, იქნება ეს უსაფრთხოება, გადაზიდვების ორგანიზება, მოძრავი შემადგენლობა, რაც წინააღმდეგობაში მოდის ევროპულ სტანდარტებთან. პირველი, რაც უნდა გავაკეთოთ, არის ის, რომ მოხდეს დაყოფა, გამიჯვნა ლიანდაგების, ხიდების, გვირაბების, რაც არის სტრატეგიული მნიშვნელობის და უნდა დარჩეს სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ. ამასთან, უნდა შეიქმნას საქართველოს რკინიგზის სააგენტო, რომელიც დაარეგულირებს უსაფრთხოებას, ცალკე დარჩება ვაგონები, წევითი ძალა, რომლის გასხვისებაზეც შესაძლებელია საუბარი და ყველა კერძო კომპანიას მიეცეს შესაძლებლობა, რომ შეიძინოს მოძრავი შემადგენლობა. გაიაროს აკრედიტაცია, სერტიფიცირება და შეიქმანს ჯანსაღი კონკურენცია სარკინიგზო გადაზიდვებსა და მგზავრთა გადაყვანაში, – განაცხადა ვასო ურუშაძემ.

მისივე თქმით, ეკონომიკის მინისტრის მესიჯი, სადაც საუბარია საქართველოს რკინიგზის წილის შესაძლო გასხვისებაზე, იმ მოდელით, როგორც დღეს რკინიგზა იმართება, არის საგანგაშო და დაუშვებელი.

– ამ მოდელით, ყველაფერი ერთ კომპანიაშია, საქართველოს რკინიგზა დღეს არის არამომგებიანი და გარდა პოლიტიკური ინტერესებისა, შეუძლებელია რომელიმე კერძო ინვესტორი მისი წილების შეძენით დაინტერესდეს. მას შემდეგ, რაც გატარდება რეფორმა და საუბარი იქნება მხოლოდ მოძრავი შემადგენლობის გასხვისებასა და კერძო ოპერატორების დაშვებაზე სარკინიგზო ქსელში, უკვე შეიძლება საუბარი, რომ კომპანიის წილი საინტერესო იქნება კერძო სექტორისთვის და ძალიან ბევრი ინვესტორი გამოჩნდეს. მოდელის ცვლილება არის ძალიან მნიშვნელოვანი. თუ რეფორმას არ გავატარებთ, საუბარი წილების გასხვისებაზე არის ანტისახელმწიფოებრივი და შეიძლება ემსახურებოდეს ერთადერთ მიზანს – რუსული ინტერესების გატარებას საქართველოსა და მთლიანად რეგიონში, – განაცხადა „ჰაბ ჯორჯიას“ დამფუძნებელმა.

ბპნ.გე

# 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები 52 მლნ ლარზე მეტი დაჯდა

საქართველოში გუშინ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური გაიმართა. რიგით მე-5 პრეზიდენტის არჩევა ქვეყანას 52 მლნ ლარზე მეტი დაუჯდა.

შეგახსენებთ, რომ 1-ელი ტური 28 ოქტომბერს იყო და მისი ჩატარებისთვის სახელმწიფოს მიერ 42,667,518 ლარი გამოიყო. აქედან 32,127,177 ლარი არჩევნების ჩატარებას უნდა მოხმარებოდა. არჩევნებისთვის მოხელეთა გადამზადებისთვის 1,190,617 ლარი; საარჩევნო სუბიექტების სატელევიზიო რეკლამის განთავსებისთვის კი 2,111,674 მილიონი ლარი იყო გათვალისწინებული. ამასთან, დადგენილების თანახმად, საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენელთა დაფინანსებისთვის არჩევნების პირველ ტურზე, 7,238,050 ლარი უნდა დახარჯულიყო.



რაც შეეხება საპრეზიდენტო არჩევნების მე-2 ტურს, მისი ჩატარებისთვის სახელმწიფოს მიერ 10,583,022 ლარი გამოიყო. აქედან 10,034,572 ლარი არჩევნების ჩატარებას მოხმარდება. არჩევნებისთვის მოხელეთა გადამზადებისთვის 167,000 ლარი დაიხარჯება. ამასთან, დადგენილების თანახმად, საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენელთა დაფინანსებისთვის 381,450 ლარია გათვალისწინებული.

ბპნ.გე

# სებ-ი ახალ კადრს დაეძებს

ეროვნული ბანკი ახალ კადრს ეძებს. საზედამხედველო პოლიტიკის განყოფილების მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე, 4.141 დარიცხული ხელფასის შეთავაზებით.




მას ევალება კვლევა-ანალიზი, საკანონმდებლო ცვლილებების სამართლებრივი უზრუნველყოფა; კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის მოთხოვნების, კონსოლიდირებული ზედამხედველობის დანერგვაში მონაწილეობა. კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის შეძენის მსურველზე ინფორმაციის მოძიება.

მოეთხოვება კრიტიკული აზროვნება; დამოუკიდებლად მუშაობა და სტრესის ქვეშ მუშაობა.

GBC

# მამუკა ბახტაძე: „მთავარი ამოცანა იქნება, განათლება გახდეს ყველაზე დომინანტი სექტორი ჩვენს ეკონომიკაში“



მეორე დიდი რეფორმა, რომელიც აუცილებლად წამყვანი იქნება ჩვენს პაკეტში, იქნება განათლების რეფორმა. ამ კუთხით ვუყურებთ ჩვენი ეკონომიკის განვითარებას, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში, გადაცემა „იმედში“ სტუმრობისას განაცხადა.

პრემიერის თქმით, განათლების სექტორი უნდა გახდეს დომინანტი საქართველოს ეკონომიკაში, ისე რომ, დღეს არსებული 4-5%-გან განსხვავებით, მას ჰქონდეს მინიმუმ ორნიშნა რიცხვი მთლიან შიდა პროდუქტში.

– სიღარიბის დაძლევა არის ჩვენთვის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა. ჭარბვალიანობა არის სიღარიბის ერთ-ერთი წყარო, თუმცა გვაქვს სხვა მნიშვნელოვანი პრობლემებიც, რომლებიც ამავდროულად კავშირშია ჭარბვალიანობასთან. ერთ-ერთი თემა იყო ის ინიციატივები, როგორ მოვახერხოთ, რომ ჩვენი მოსახლეობა თავისი შემოსავლის ასეთ დიდ ნაწილს არ იხდიდეს საკრედიტო პროდუქტებში. ეს ადვილად მიღწევადი ამოცანა არ გახლავთ, თუმცა ძალიან პრინციპული ნაბიჯები გადავდგით ამ მიმართულებით. ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია დედოლარიზაცია, მაგრამ მეორე დიდი რეფორმა, რომელიც აუცილებლად წამყვანი იქნება ჩვენს პაკეტში, იქნება განათლების ძალიან კომპლექსური რეფორმა, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

პრემიერმა აღნიშნა, რომ რეფორმის პირველი ეტაპი უკვე დაანონსებულია, დამატებითი დეტალები კი სრული სტრატეგიის პრეზენტაციაზე გახდება ცნობილი.

– მთავარი ამოცანა იქნება, განათლება გახდეს ყველაზე დომინანტი სექტორი ჩვენს ეკონომიკაში, შევქმნათ ადამიანური კაპიტალი და, შესაბამისად, საქართველო შევიყვანოთ განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყანათა რიცხვში. ჩვენ გვაქვს გეგმა, როგორ დავძლიოთ სიღარიბე, მაგრამ ამავე დროს, თავი არ უნდა მოვიტყუოთ. ჩვენ საქართველოს ვერ შევიყვანთ განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყანათა რიცხვში, თუ ჩვენი განათლების სექტორი იქნება იმ დონეზე, რომელზეც დღეს არის და ეს იქნება ის მნიშვნელოვანი ამოცანა, რომელსაც აუცილებლად მივაღწევთ, – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

1ტვ.გე

# მერიის მიერ დაწუნებული პროექტები

ქვეყანაში რომ ბიზნესი სწრაფი ტემპებით ვითარდება, ამის შესახებ სახელმწიფოს წარმომადგენლები მუდმივად საუბრობენ. სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით ბოლო წლებში რამდენიმე პროექტიც (აწარმოე საქართველოში, სტარტაპ საქართველო) შეიქმნა, რაც მეწარმეებს ბიზნესის შექმნაში და მის შემდგომ განვითარებაში ეხმარება. თუმცა, ამის პარალელურად, ბიზნესმენები ხშირად საუბრობენ იმაზეც, რომ ხელისუფლების მხრიდან, გაურკვეველი მიზეზებით, სისტემატურად იბლოკება მნიშვნელოვანი პროექტები.

„კომერსანტი“ ამჯერად გთავაზობთ ბოლო ერთი წლის განმავლობაში თბილისის მერიის მიერ სხვადასხვა მიზეზით დაწუნებულ მიმდინარე და ახლად წამოწყებულ პროექტებს, რომელზეც კომერსანტი სისტემატურად წერს:

ღვინის მუზეუმი „ქვევრი“ – მიმდინარე წლის ყველაზე მასშტაბური პროექტი, რომელმაც საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. მერიასთან შეუთანხმებლობის გამო მისი განხორციელება ამ დრომდე ვერ ხერხდება. როგორც „კომერსანტს“ პროექტის ხელმძღვანელმა მაია ჩადუნელმა განუცხადა, მან ერთი ინვესტორი უკვე დაკარგა და ამ ეტაპზე დამფინანსებლის მოძიება ხელახლა უწევს. მიზეზი კი მერიაში პროექტის დამტკიცების და მისი ადგილმდებარეობის შერჩევის გაჭიანურება აღმოჩნდა.

ღვინის მუზეუმი „ქვევრი“ 4 სართულს მოიცავს და რამდენიმე ნაწილად დაიყოფა. „ქვევრის“ მშენებლობის დასრულება და სტუმრების მიღება 2019 წლის ბოლოსთვის იგეგმებოდა, თუმცა ამ დროისთვის ეს თარიღიც უცნობია, რადგან მუზეუმის აშენების ზუსტი დრო მერიასთან თანამშრომლობის შედეგად უნდა გადაწყდეს. ღვინის მუზეუმის მშენებლობის სავარაუდო ადგილად რიყის პარკი მოიაზრებოდა.




სასტუმრო Radisson RED – აღნიშნული მშენებლობა თბილისის მერიამ მიმდინარე წელს უკვე მეორედ, ამჯერად უვადოდ გადადო. მშენებლობის ნებართვის გაუცემლობის მიზეზი ისევ პროექტის განსახორციელებელი ადგილმდებარეობის დაწუნებაა. როგორც საქართველოში პროექტის პარტნიორი კომპანია Commerce Group-ის მფლობელი, ბიზნესმენი დავით კოდუა „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებს, წლების წინ დაწყებული სამეზობლო დავა განახლდა და მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა ბიზნესმენს ჭავჭავაძის გამზირზე №23-ში Radisson RED-ის ბრენდის 100 ნომრიანი სასტუმროს მშენებლობა ადგილობრივი მცხოვრებლების უარის გამო განუცხადა.

ლილოში საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხანა – ქარხანა 2018 წლის ნოემბერში სატესტო რეჟიმში უნდა ამუშავებულიყო, თუმცა პროექტის განხორციელება გაურკვეველი ვადით შეჩერდა. პროექტის ჯამური ღირებულება 85 მილიონ დოლარამდეა. მრავალმილიონიანი პროექტის განმახორციელებელი კომპანიის „კა დე ვე ჯორჯიას“ ხელმძღვანელი ვაჟა სამადბეგიშვილი მერიას, კერძოდ კი, კახა კალაძეს, ქარხანასთან დაკავშირებით პირად ინტერესში ადანაშაულებს და მშენებლობისთვის განკუთვნილი მიწის მითვისებაში სდებს ბრალს.

კუს ტბის განაშენიანების ახალი გეგმა (45 ათასი კვადრატული მეტრის) – 2018 წელს დაანონსებული პროექტია, რომლის ავტორი კუს ტბის გენერალური დირექტორი ნინო ბადაგაძეა. კუს ტბის გენერალური გეგმის ფარგლებში ადგილზე მრავალი სივრცის მოწყობა და გასართობი ობიექტის მშენებლობა იგეგმებოდა. რეკრეაციული ზონით როგორც ქართველი, ისე ამერიკელი ინვესტორები იყვნენ დაინტერესებულები. თუმცა, როგორც სხვა პროექტები, ისიც ამჟამად მერიის სამსახურის მიერ მშენებლობის დაწყებისთვის დადასტურების მოლოდინშია.

ოთხივე პროექტის შეჩერების მიზეზების გარკვევა კომერსანტმა სცადა დედაქალაქის მთავრობაში, მათ პასუხებს მიღებისთანავე შემოგთავაზებთ.

# „ოცნებას“ ხისტი პრეზიდენტი აწყობს“

გულიკო ბალაძე

**არჩევნების მეორე ტურში მთაწმინდის №13, კრწანისის №1 და მთაწმინდის 42-ე უბნებში ვითარება 5 საათსა და 30 წუთისთვის მშვიდი ვითარება იყო, თუმცა, აქტივობა იმაზე მაღალი გახლდათ, ვიდრე პირველ ტურში.**

„ახალი თაობა“ შეეცადა ამომრჩეველს გასაუბრებოდა, თუმცა, ზოგიერთმა პასუხი არ ისურვა.

მთაწმინდის მე-13 საარჩევნო უბანში მშვიდი ვითარება დაგვხვდა, პატარა რიგებიც იყო.

– ვის მიეცით ხმა?

ქალბატონი, რომელიც პატარა ბავშვთან ერთად იმყოფებოდა ხმის მისაცემად, თავისი არჩევანის გამჟღავნება არ ისურვა:

– საიდუმლოა. ნახავთ, არჩევნების შემდეგ ვინ გაიმარჯვებს.

* * *

ერთ-ერთი ქალბატონი ცოტა შეშინებული ჩანდა.

– ქალბატონო, გამოკითხვას ვატარებთ, ვის მიეცით ხმა?

– შემიძლია, რომ არ გიპასუხოთ?

– შეგიძლიათ, არ გვიპასუხოთ, მაგრამ ზოგადად მაინც გვითხარით რამე.

– აღარავის აღარ ვენდობი.

შუახნის მამაკაცმა პირდაპირ მიპასუხა, რომ მისი არჩევანი საიდუმლოა.

– ვის მიეცით ხმა?

– საიდუმლოა.

– ზოგადად მაინც მითხარით, რას ფიქრობთ არჩევნებზე?

– იყო არჩევნები, არის არჩევნები და იქნება არჩევნები ჩვეულებრივად. ზოგადად, ხმა საქართველოს მომავალს მივეცი.



* * *

მთაწმინდის მე-14 უბანი.

– უკაცრავად, ქალბატონო, ხმა ვის მიეცით?

მაკა:

– სალომე ზურაბიშვილს, 48-ს.

– რატომ მიეცით ხმა სალომე ზურაბიშვილს?

– იმიტომ, რომ „არა ნაცებს“.

– ნაცებს რას ერჩით?

– პოლემიკაში აღარ გადავდივარ.

* * *

მთაწმინდის 42-ე უბანი.

– ქალბატონო, ვის მიეცით, ან რას მიეცით ხმა?

ქალბატონი:

– განვითარებას, საქართველოს მშვიდ მომავალს. თავისუფლებას და არა შიშს და ღალატს. ხმა მივეცი სალომე ზურაბიშვილს №48-ს.

– ღალატს ხედავდით?

– კი, იმ დროს ვხედავდი, რომ მისი გუნდი აპირებდა მოსვლას და მათ წინააღმდეგ მივეცი ხმა.

– ვისი გუნდიც აპირებს მოსვლას, მათი გამარჯვება რეალური იყო?

– რეალური იყო თუ არა ნაცმოძრაობის გამარჯვება, ამას მეკითხებით?

– ნაცმოძრაობას ალბათ ჰყავს თავისი ამომრჩეველი, მაგრამ არა მგონია გაემარჯვა იმიტომ, რომ ჩემი აზრით, უმრავლესობა მხარს დაუჭერს არა შიშს და არა იმ პერიოდს, რაც ნაცების დროს გამოვიარეთ.

– ისე დიდი სურვილი აქვთ და ძალიანაც იბრძვიან.

– ბრძოლით ბოლო წუთამდე იბრძოლებდნენ.

* * *

ისეთებიც იყვნენ, პირდაპირ რომ გვპასუხობდა, სალომეს, 48-ს მისცა ხმა, თუმცა, როცა ვეკითხებოდით, რატომ მისცეს ხმა 48-ს, საუბრის გაგრძელება აღარ სურდათ.

ან პირიქით, ამბობდნენ, რომ ხმა ვის მისცეს, საიდუმლოა.

* * *

მარინა:

– მე ვარ „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი ყრილობისა და მე-5 ყრილობის დელეგატი. ხმა მივეცი სალომე ზურაბიშვილს და აუცილებლად გავიმარჯვებთ.

– რატომ აძლევთ სალომე ზურაბიშვილს ხმას?

– სალომე ზურაბიშვილი არის „ოცნების“ რჩეული, მისი მხარდაჭერილი კანდიდატი. ის არის ხისტი პოლიტიკოსი და ნებისმიერი საქართველოს მოქალაქის პრეზიდენტი იქნება, განურჩევლად პოლიტიკური კუთვნილებისა. სალომე ზურაბიშვილი გაიმარჯვებს, მიუხედავად იმისა, რომ უბინძურესი პიარკამპანია უწარმოეს ნაციონალებმა და მისმა ნარჩენებმა.

***– „ოცნებას“ ხისტი პრეზიდენტი აწყობს?***

– თავისთავად უნდა აწყობდეს.

* * *

ზოგიერთმა რესპონდენტმა ვრცელი ინტერვიუც მოგვცა და დაასაბუთა, რატომ გააკეთა ეს თუ ის არჩევანი. კრწანისის №1 საარჩევნო უბანზეც მშვიდი ვითარება იყო. 6 საათის შემდეგაც ადამიანები მოდიოდნენ ხმის მისაცემად, პატარა რიგებიც იდგა.

**ამ უბანზე ხმა მისცა ცნობილმა ექსპერტმა მაია ნიკოლეიშვილმა.**

***– ქალბატონო მაია, თქვენ ვის მიეცით ხმა?***

– მე „არა მიშას!“ მივეცი ხმა, ბუნებრივია, სხვა არჩევანს მე ვერ გავაკეთებდი.

***– რატომ „არა მიშას“?***

– უკანონობა და უსამართლობა არის ყველაზე დიდი საშინელება. როდესაც ომი არ არის და ადამიანები იხოცებიან, როდესაც ადამიანის ცხოვრება შეიძლება თავიდან ბოლომდე ამოტრიალდეს სრულიად უმიზეზოდ, რადგან ვიღაცის ავადმყოფურ ტვინში მოიხარშა, მე პირადად გავხდი ამის მსხვერპლი და ჩემი უამრავი ახლობელი.



12 წლის შემდეგ გამოვიდა სასამართლო განაჩენი – პროკურატურამ გამოიძია და დადგინდა პირები, ვინც შექმნა ის სცენარი, რომლითაც თურმე მე სახელმწიფო გადატრიალებას ვაწყობდი სხვა ადამიანთან ერთად.

***– ვინ არიან ეს პირები?***

– კონკრეტული ბრალდებულები არიან ნაცმოძრაობიდან. სასამართლო პროცესზე მათი ვინაობა დასახელდა. ჩემთვის ძნელი იყო ამის მოსმენა.

***– სასამართლო როდის იყო?***

– 25 მაისს. მოვუსმინე კონკრეტულ პირებს, რომლებმაც განაცხადეს, რომ დაავალეს, მისულიყვნენ, განცხადება დაეწერათ, თითქოს შეთქმულება მზადდებოდა. რატომ იყო ეს, რატომ დაავალეს. ამას ვერასოდეს ვერც ერთი მტრისთვის ვერ ვისურვებდი. უამრავი ადამიანის ცხოვრება დამახინჯდა. შეიძლება ვიღაც სადღაც რაღაც გაერია, მაგრამ მე არც დამსიზმრებია ის, რაც დამაბრალეს. ეს ხომ საშინელებაა.

***– კონკრეტულად, ვინ არიან ეს ადამიანები?***

– ასეთი ადამიანი უამრავია. ადამიანი იმით განსხვავდება ცხოველისაგან, რომ კანონს იცავს. თუ ჩვენ გვინდა საზოგადოებაში ვიცხოვროთ, კანონი და გარკვეული ჩარჩოები არსებობს. როცა ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის ისეთ ცხოველობამდე მიდის საქმე, როგორც ნაციონალებმა გააკეთეს, ეს უკვე აღარ არის სახელმწიფო. დღევანდელი ჩემი არჩევანით, მე ზუსტად ამას ვუთხარი არა.

***– „ოცნება“ მოგწონთ?***

– აქეთაც ბევრი რამ არ მომწონს, ბევრი რამ არის შესაცვლელი ისევ ჩვენი სახელმწიფო მართვის სისტემებში. იგივე სამართალდამცავ სისტემაში. ძალიან ბევრჯერ მითქვამს, რომ ხომ არ არის საბოტაჟი. შინაგანად მიფიქრია, რომ საბოტაჟია. ეს ყველაფერი შესაცვლელია. თუმცა, თუ სასწორის პინაზე დავდებთ იმას, რაც წარმოუდგენელია, რაც ადამიანური საზოგადოებისთვის არ არის მისაღები, დღეს ჩვენ შეგვიძლია შევცვალოთ.

– როგორც ნიუნბერგის პროცესი იყო და ნაციზმი თუ ფაშიზმი გასამართლდა, ჩემი აზრით, მსგავსი პროცესი უნდა იყოს. მე არავის დასჯის მომხრე არ ვარ, მაგრამ უსამართლობა, უკანონობა და სისტემა, რომელიც ამას უზრუნველყოფს, უარყოფილი უნდა იქნას. მე იმ სისტემას ვუთხარი უარი. ჩემი ოჯახის ყველა წევრმა ხმა სალომეს მისცა, რადგან რაც იყო, ის აღარ უნდა განმეორდეს.

***– თქვენ ამბობთ, რომ წარსულს უთხარით უარი, ახლა ვინც არის, არ მოგწონთ, მაგრამ შეიცვალა შეიძლება. ნაციონალების შეცვლა არ შეიძლება?***

– ყველაფერი კანონიდან იყო გასული. აბსოლუტურად აღვირახსნილები იყვნენ. „კანონი მე ვარ“, იყო. ის როგორ უნდა შეიცვალოს? მათ დაამახინჯეს ადამიანების სულები. ბევრი ფიზიკურად განადგურდა. ვინც გადავრჩით, როგორც ებრაელები გეტოში, ისე ვგრძნობდით თავს ამ ქვეყანაში. მე ისე დავდიოდი თბილისში, როგორც გეტოში. ჩემნაირი უამრავი ადამიანი იყო. ჩვენ ხომ არაფრის უფლება არ გვქონდა. არც მუშაობის, არც შრომის. რა უნდა შეიცვალოს? ის ავადმყოფური, მანიაკალური მართვა იყო. მანიაკი არ იცვლება.

## ქობულეთში 46 წლის მამაკაცი ავტომობილში მოკლული იპოვეს




ქობულეთში, სოფელ ჩაისუბანში 46 წლის მამაკაცი ავტომობილში მოკლული იპოვეს. როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში „ინტერპრესნიუსს“ განუცხადეს, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება „სისხლის სამართლის კოდექსის“ 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

არსებული ინფორმაციით, 46 წლის მამაკაცი სოფელ ჩაისუბნის მკვიდრია. მას, სავარაუდოდ, ავტომობილიდან ესროლეს.

## შსს-მ გლდანში ჟურნალისტის ცემის ფაქტზე გამოძიება დაიწყო



გლდანში მომხდარ ინციდენტზე, რა დროსაც ტელეკომპანია „პირველის“ ჟურნალისტს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება ძალადობის მუხლით დაიწყო.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, ამ დროისთვის საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს.

– გამოძიება დაწყებულია სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით, რაც ძალადობას გულისხმობს. მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები, – აცხადებენ შსს-ში.

ცნობისთვის, ტელეკომპანია „პირველის“ საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელის, დიანა ტრაპაიძის ინფორმაციით, გლდანში მყოფ არხის ჟურნალისტს გადაღებისას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

ტრაპაიძემ განცხადება პირდაპირ ეთერში გააკეთა და აღნიშნა, რომ ჟურნალისტი თათია ჩაფიჩაძე პირდაპირ ეთერში ჩართვას გეგმავდა, რა დროსაც მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

– ჩვენი ჟურნალისტი იმყოფებოდა იქ, სადაც ავტობუსების მეშვეობით ხდებოდა ამომრჩევლების გადაყვანა რეგიონებში. ის იყო მობილური ტელეფონით და კამერით აპირებდა ჩვენთვის ლაივ რეპორტაჟის მოწოდებას. მას შემდეგ, რაც მან ჩართო ტელეფონი, ჩაართვეს და არ მისცეს გადაღების საშუალება, – განაცხადა დიანა ტრაპაიძემ.

## ავარია რუსთავი-თბილისის ავტომაგისტრალზე – დაშავებულია 3 ადამიანი




რუსთავი-თბილისის ავტომაგისტრალზე ტოიოტას მარკის ავტომობილს სატვირთო უკნიდან დაეჯახა, რამაც მისი დაჯახება წინ მდგომ ავტომობილთან განაპირობა.

შემთხვევის შედეგად დაშავებულია 3 ადამიანი, რომლებიც საავადმყოფოში არიან გადაყვანილი.

ამ დროისთვის ავტომაგისტრალზე მოძრაობა შეზღუდულია.

„ნიუპოსტი“ დეტალებს შინაგან საქმეთა სამინისტროში არკვევს.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა**. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**☎ 230 62 52; 599 16 10 82**

## საფრანგეთში ჩრდილოეთ კორეის ჯაშუში დაიჭირეს




საფრანგეთის კონტრდაზვერვამ პარლამენტის დეპუტატი, ვინმე ბენუა კენედი დააკავა. ის მხილებულ იქნა, როგორც ჩრდილოეთ კორეის ჯაშუში.

ბენუა კენედი კორეის საკითხების ექსპერტად ითვლებოდა. ის საფრანგეთ-ჩრდილოეთ კორეის მეგობრობის ასოციაციას ხელმძღვანელობდა. მან არაერთგზის მოინახულა როგორც ჩრდილოეთი, ისე სამხრეთ კორეა.

## ჩინეთში ქიმიური კომბინატი აფეთქდა

### დაიღუპა 200 ადამიანი



ჩინეთის ქალაქ ჩჟანცზიაკოუში მდებარე ქიმიურ კომბინატთან აფეთქება მოხდა. შედეგად დაიღუპა 200 ადამიანი, ამდენივე დაშავდა.

დაიწვა ქარხნის მახლობლად სადგომებზე მდგომი ავტომანქანებიც.

მომხდარის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

## რუსეთში სტალინიზმის რესტავრაცია გრძელდება



1 დეკემბერს ამურის კომსომოლსკში ე.წ. „გმირთა ხეივანი“ გაიხსნება. მას ი.ბ. სტალინის ბიუსტი დაამშვენებს. იქვე იქნება ჟუკოვის, როკოსოვსკისა თუ სხვა საბჭოთა მხედართმთავართა პორტრეტები.

აქციას რუსი რეჟისორი ნიკიტა მიხალკოვი მიესალმა. მან განაცხადა, რომ დემოკრატიამ რუსეთში არ გაამართლა. დაინგრა დიდი სახელმწიფო, გამეფდა სიღატაკე, უმუშევრობა, ბანდიტიზმი.

მიხალკოვი უკრაინის პრობლემასაც შეეხო.

– დონბასში მილიონობით რუსი იძულებული გახდა, სახლ-კარი მიეტოვებინა და ხიზანი გამხდარიყო. განა სტალინის დროს რუსების ასეთ შევიწროებას ვინმე გაბედავდა? არა, ბატონებო! მაშინ ბანდერელები და მსგავსი ყაიდის ექსტრემისტები იზოლირებულნი იყვნენ, – თქვა მიხალკოვმა.

## ტრამპისა და პუტინის შეხვედრა შესაძლოა ჩაიშალოს?




აშშ ევროპას რუსეთის მიმართ სანქციების გამკაცრებისკენ მოუწოდებს

– ტრამპი და პუტინი ერთმანეთს არგენტინაში დიდი ოცეულის სამიტზე შეხვდებიან, – განაცხადა ტრამპის მრჩეველმა ეროვნული უსაფრთხოების დარგში ჯონ ბოლტონმა.

მან ხაზი გაუსვა, რომ მოლაპარაკებების ძირითადი თემები იქნება რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობები, ახლო აღმოსავლეთი და უკრაინა.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, გმობს თუ არა ტრამპი ქერჩის სრუტეში მომხდარ ინციდენტს, ბოლტონმა მიუგო:

– აშშ-ის ხელისუფლების პოზიცია ჩვენმა წარმომადგენელმა გაეროში ნიკ ჰეილიმ დააფიქსირა. მან რუსეთის პოზიცია დაგმო.

ამავე დროს, ტრამპმა არ გამორიცხა, რომ მისი და პუტინის შეხვედრა შეიძლება ჩაიშალოს. მიზეზი ქერჩის სრუტეში რუსების აგრესიული ქმედებებია.

–– რუსების საქციელი არ მომწონს, – თქვა ტრამპმა.

პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ თავის გუნდისგან ამომწურავ ინფორმაციას მოელის იმის თაობაზე, თუ სინამდვილეში რა მოხდა ქერჩის სრუტეში. საბოლოო გადაწყვეტილებასაც ამის შემდეგ მიიღებს.

აშშ ევროპას რუსეთის მიმართ სანქციების გამკაცრებისაკენ მოუწოდებს. გერმანია და საფრანგეთი ფეხს ითრევენ.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ჰიზერ ნოიერტმა განაცხადა, რომ ქერჩის ყურეში რუსეთის აგრესიული ქმედებებით სრულიად ახალი საერთაშორისო ვითარება შეიქმნა. ნოიერტმა ევროპას მოუწოდა, რომ რუსეთის მიმართ სანქციები გაამკაცროს.

– დადგა დრო, როცა რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციები უნდა გამკაცრდეს! ევროპამ „ჩრდილოეთის ნაკად 2“-ის მშენებლობასაც უნდა გადახედოს, – ამბობს ნოიერტი.

ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრმა კნაისელმა განაცხადა, რომ ევროკავშირმა შესაძლოა რუსეთის მიმართ სანქციები გაამკაცროს.

– ეს ევროკავშირის სამიტზე გადაწყდება, როცა ქერჩის სრუტეში მომხდარი ინციდენტის საკითხს განვიხილავთ და ყველაფერს გავაანალიზებთ, – თქვა კნაისელმა.

გერმანია და საფრანგეთი რუსეთის მიმართ სანქციების გამკაცრების წინააღმდეგნი არიან. ბერლინი და პარიზი რუსეთ-უკრაინას შორის დიალოგს და ნდობის აღდგენას უჭერენ მხარს. გერმანიის მწვანეთა პარტიის წარმომადგენელმა ბერბოკმა კი განაცხადა, რომ დროა, რუსეთის მიმართ ევროპამ უფრო ხისტი პოზიცია დაიკავოს.

– უნდა უარი ვთქვათ ისეთ პროექტებზე, როგორიცაა „ჩრდილოეთის ნაკადი 2“, – თქვა ბერბოკმა.

რუსეთის მიმართ სანქციების გამკაცრებას მხარს უჭერენ პოლონეთი, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი და ა.შ.

პოლონეთის პრეზიდენტმა ანჯეი დუდამ განაცხადა, რომ რუსეთის მიმართ ახალი სანქციების შემოღებას ორივე ხელით მხარს დაუჭერს.

## პოროშენკო: „არსებობს რუსეთთან ფართომასშტაბიანი ომის საფრთხე!“



უკრაინის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო ჟურნალისტებს შეხვდა.

შეკითხვაზე, აუცილებელი იყო თუ არა ქვეყანაში სამხედრო მდგომარეობის შემოღება, პოროშენკომ მიუგო, რომ სამხედრო მდგომარეობა არა მთლიანად უკრაინაში, არამედ მის ნაწილშია შემოღებული.

– გვაქვს ინფორმაცია, რომ რუსები შემოჭრას აპირებენ. სამხედრო მდგომარეობის გამოცხადებაც აუცილებელია, – თქვა პრეზიდენტმა.

პოროშენკომ განაცხადა, რომ უკრაინის საზღვრებთან რუსი ჯარისკაცების კონცენტრაცია გრძელდება. ინტენსიურად ხდება ტანკების, არტილერიის გადმოსროლა. ამის იგნორირება არ შეიძლება.

– არსებობს რუსეთთან ფართომასშტაბიანი ომის რეალური საფრთხე! სამხედრო მდგომარეობის გამოცხადებაც ამან განაპირობა, – ამბობს პრეზიდენტი.

ომის საფრთხეზე პოროშენკომ აშშ-ის სახელმწიფო მდივან მაიკ პომპეოსთან საუბარშიც ილაპარაკა. პომპეომ განაცხადა, რომ აშშ უკრაინას მხარს დაუჭერს.

– უკრაინას მიაწვდიან ლეტალურ იარაღს, უკრაინას გაეწევა მაქსიმალური პოლიტიკური და ეკონომიკური დახმარება, – თქვა პომპეომ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## კალეიდოსკოპი

## მონიკა ლევინსკიმ ბილ კლინტონთან ურთიერთობა გაიხსენა

აშშ-ის ყოფილ პრეზიდენტ ბილ კლინტონთან სქესობრივი კავშირის საზოგადოებრივ-პოლიტიკური სკანდალის მონაწილე მონიკა ლევინსკიმ ისაუბრა მის შესახებ გადაღებულ დოკუმენტურ ფილმზე. მისი თქმით, პრეზიდენტის ყურადღების მისაპყრობად ის ზედიზედ რამდენიმე დღის განმავლობაში ერთსა და იმავე ტანსაცმელში გამოწყობილი დადიოდა.

მისი თქმით, თავდაპირველად „ჭაღარა მოხუცი“ მას არ აინტერესებდა, თუმცა მალე მისმა ქარიზმამ ლევინცკის ყურადღება მიიქცია და მას ექსპრეზიდენტმაც მიაქცია ყურადღება.

– ჩვენ ბილისთვის ზეიმი გვქონდა თეთრი სახლის ეზოში. სისულელე ჩავიდინე, სასადილო შესვენებისას სახლში გავიქეცი და მწვანე ფერის კოსტიუმი ჩავიცვი, რომელიც წინა დღეებში მეცვა და რომელში გამოწყობილსაც მან პირველად მომაქცია ყურადღება, – გაიხსენა ლევინსკიმ.

მან აღიარა, რომ მას იმედი ჰქონდა, რომ ასე ისევ მიიქცევდა კლინტონის ყურადღებას და მისი თქმით, ასეც მოხდა. მან შემდგომში საკუთარ საქციელს „სისულელე“ უწოდა.



**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## განცხადებები

### სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# გიორგი დემეტრაძე: „ქართველები ამბიციური ხალხი ვართ“

რუსულმა სპორტულმა გამოცემა სპორტ-ექსპრესმა საქართველოს ნაკრების ყოფილ თავდამსხმელთან, გიორგი დემეტრაძესთან ვრცელი ინტერვიუ ჩაწერა, სადაც საუბარი საქართველოს ნაკრებს, ქართულ ფეხბურთს და პოლიტიკასაც შეეხო. რადგან გუშინ არჩევნები იყო, ინტერვიუს გამოქვეყნება საჭიროდ არ მივიჩნიეთ და დღეს შემოგთავაზებთ.

***– ახლა რას საქმიანობთ?***



– ფეხბურთისგან შორს არ ვარ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ვმუშაობ. რთული გრაფიკია, მაგრამ ყველაფერი კარგადაა.

***– საქართველოს ნაკრები რა სიძლიერის გუნდია?***

– წინსვლა გვაქვს, ერთა ლიგაში მაღალ დივიზიონში გადავედით, არც ერთი თამაში წაგვიგია. პროგრამა მინიმუმი შესრულებულია.

***– და მაქსიმალური მიზანი რა არის?***

– როგორ თუ რა? ევრო 2020-ზე მოხვედრა. ჩვენ ამბიციური ხალხი ვართ. კარგი შანსი გვაქვს. ბელორუსი, მაკედონია და კოსოვო – ეს ნაკრებები არიან ჩვენი მეტოქეები.

***– საქართველოს ჩემპიონატში დიდი ტალანტები გყავთ?***

– უმეტესი მათგანი საზღვარგარეთ თამაშობს. გენტში ქართული ფეხბურთის მომავალი ვარსკვლავი გიორგი ჩაკვეტაძე გვყავს.

***– ხვიჩა კვარაცხელიაზე რას იტყვით? მას მოსკოვის ლოკომოტივი აკვირდებოდა.***

– შესანიშნავი ბიჭია, მაგრამ ჯერ კიდევ სჭირდება გაზრდა. ლოკომოტივის ინტერესის შესახებ არ მსმენია. აი, ჩაკვეტაძე კი უკვე სტაბილურად უმაღლეს დონეზე თამაშობს.

***– საქართველოში საწყენი ფაქტი იყო, რომ გიორგი ჯიქიამ საქართველოს ნაკრებს რუსეთი ამჯობინა?***

– და სპარტაკი. შესანიშნავი მცველია, მაგრამ რას ვიზამთ? ეს მისი არჩევანია. როგორ უნდა განვსაჯო, თუმცა შესანიშნავი იქნებოდა ჩვენთვის. კვირკველია და ჯიქია ერთად რომ თამაშობდნენ, იდეალური იქნებოდა. ჩვენ დიდი ტალანტი – ჯანო ანანიძეც გვყავს, მაგრამ ის ტრავმებმა გააწამა. მას სტაბილურ ჯანმრთელობას ვუსურვებ.

***– რუსეთის პრემიერლიგას თვალს ადევნებთ?***

– დიახ, და მოსკოვის დინამოს ვგულშემატკივრობ.

***– დინამოს რატომ?***

– დიმიტრი ხოხლოვთან ვმეგობრობ.

***– ერთ-ერთ ინტერვიუში დეპუტატ ვალერი გაზაევს შეუთვალეთ, რომ მზად იყავით, მის ასისტენტად გემუშავათ.***

– არა, ვალერი გიორგის ძეს ჯერ არ დაურეკავს ჩემთვის. თანაც, დეპუტატად მუშაობა ჩემთვის წვალება იქნება. ეს მხოლოდ ხუმრობა იყო.

***– პოლიტიკა არ გიზიდავთ?***

– არა, ეს ჩემი საქმე არ არის. უიმისოდაც ბევრი სამუშაო და პრობლემები მაქვს.

***– თუ ვალერი გიორგის ძემ დაგირეკათ და შემოგთავაზათ მუშაობა?***

– წავალ მის თანაშემწედ, მხოლოდ მწვრთნელად. დეპუტატობისთვის ჯერ მზად არ ვარ. იმედი მაქვს, გაზაევი კიდევ დაბრუნდება ფეხბურთში. თუმცა, მანამდე წარმატებები მინდა ვუსურვო არცთუ იოლ სამუშაოზე. მე კი, მართლა ძალიან მინდა, რომ ალანია ხელახლა დაიბადოს და ისევ უმაღლეს ლიგაში ითამაშოს. ვიმედოვნებ, რესპუბლიკის ხელმძღვანელობა დაეხმარება და გაჭირვებაში არ მიატოვებს. ვლადიკავკაზის გარეშე რუსეთის ჩემპიონატი რთული წარმოსადგენია. ზღაპარი გულშემატკივრები ჰყავს.

***– თქვენ ფეხბურთელად გაზაევმა გაქციათ?***

– რა თქმა უნდა. ამის უარყოფა სისულელეა. ერთია, მაშინ გუნდიც ძალიან მაგარი იყო.

***– ვისთან უფრო რთული იყო ვარჯიში – გაზაევთან თუ ლობანოვსკისთან კიევის დინამოში?***

– ორივესთან რთული იყო. თუმცა, ალბათ ლობანოვსკისთან უფრო რთული იყო. გაზაევს დიდი ხანია არ შევხვედრივარ. დეკემბრის დასაწყისში მოსკოვში მივფრინავ, მეგობრები მინდა ვნახო. დღესდღეობით ვიზის მოპოვების პრობლემა აღარ არსებობს.

***– მაშ, გელოდებით...***

– ჯერ არა, პირველ რიგში, საპრეზიდენტო არჩევნებზე (ინტერვიუ წინა დღით არის ჩაწერილი) უნდა წავიდე. მთავარია, სააკაშვილის კაცმა, გრიგოლ ვაშაძემ არ გაიმარჯვოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამორალური სააკაშვილი საქართველოში დაბრუნდება.

***– ამაყობ, რომ 99 წელს რუსეთის ჩემპიონატის ბომბარდირი გახდი?***

– მე საქართველოსა და უკრაინის ჩემპიონატების საუკეთესო მეგოლეც გავხდი, ანუ 3 ქვეყნის.

***– რუსეთის პრემიერლიგიდან რომელ თავდამსხმელს გამოარჩევდი?***

– ძალიან მომწონს ლუის ადრიანო. სმოლოვსაც აქვს ხარისხიანი ფორვარდის თვისებები. ასევე ძიუბას.

***– ცოტა ხნის წინ იყო ასევე კოკორინი.***

– დიახ. ძალიან სამწუხაროა, რომ კოკორინი და მამაევი ახლა წინასწარი დაკავების საკანში სხედან. ეს ალბათ ძალიან დიდი სიმკაცრეა მათ მიმართ.

***– თქვენ ასე ფიქრობთ?***

– კი... შესაძლებელი იყო მათი დაჯარიმება, ხოლო დაკავება ზედმეტია. ღმერთმა ნუ ქნას, საერთოდ მიუსაჯონ და იმედს ვიტოვებ, რომ მალე გამოვლენ. ციხე ფეხბურთელისთვის სიკვდილია.

***– მათი ქმედებები სასჯელს არ იმსახურებს?***

– ვნახე ვიდეო. ცხადია, ორივე

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## შედეგები

**27 ნოემბერი**

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

ცსკა-პლზენი ........ 1:2
აეკი-აიაქსი ........ 0:2
მანჩესტერი-იანგ ბოიზი ........ 1:0
ბაიერნი-ბენფიკა ........ 5:1
იუვენტუსი-ვალენსია ........ 1:0
ლიონი-სიტი ........ 2:2
რომა-რეალი ........ 0:2
ჰოფენჰაიმი-შახტარი ........ 2:3

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბრენტფორდი-შეფილდი ........ 2:3
ლიდსი-რედინგი ........ 1:0
პრესტონი-მიდლსბრო ........ 1:1
როტერჰემი-ქპრ ........ 2:2
ჰალი-ნორვიჩი ........ 0:0
უენსდი-ბოლტონი ........ 1:0

**საფრანგეთი. თასი**

ნიმი-სტ.ეტიენი ........ 1:1 (4:2პ)

# ჩემპიონთა ლიგის 4 ჯგუფში ბოლო ტური უინტერესო ხდება

### ე ჯგუფი

**ბაიერნი-ბენფიკა 5:1**

**მიუნხენი.** ალიანს არენა

1:0, 2:0 რობენი (13, 30), 3:0 ლევანდოვსკი (36), 3:1 ფერნანდესი (46), 4:1 ლევანდოვსკი (51), 5:1 რიბერი (77)

თურმე შეძლებია ბაიერნს. ან როცა უნდა და სურვილი აქვს, მაშინ თამაშობს. ან სინდისმა შეაწუხათ. ასეა თუ ისე, ბაიერნმა მაღალი კლასი აჩვენა და „ალიანს არენაზე“ ბენფიკას კოშმარი მოუწყო.

ყველაფერი არიან რობენმა დაიწყო, რომელმაც 2 დიდებული გოლი მიითვალა. შემდეგ საქმეში რობერტ ლევანდოვსკი ჩაერთო და მანაც დუბლი გაიფორმა. ერთია, ლევას გოლებშორის ფერნანდესმა გაიტანა, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავდა – ბენფიკა ბაიერნის შემჩერებელი არ იყო. საბოლოო წერტილი კი, ფრენკ რიბერიმ დასვა.

**აეკი-აიაქსი 0:2**

**ათენი.** სპიროს ლუისი

0:1, 0:2 ტადიჩი (68პ, 72)

არცთუ სანახაობრივი გამოდგა მატჩი, არც მომენტებით იყო დახუნძლული. ჰოლანდიელებმა პრაგმატულად მოიგეს. მთელი შეხვედრის განმავლობაში მოედანზე ისინი ბატონობდნენ, ბურთს უფრო მეტხანს ფლობდნენ, უფრო მეტს უტევდნენ. აეკი კი ისე გამოიყურებოდა, თითქოს არაფერი აინტერესებდა და მოედანზე მოვალეობის მოხდის მიზნით იყო გამოსული. აქედან გამომდინარე, შედეგი ლოგიკურია.

ორივე გოლი დუშან ტადიჩმა გაიტანა: ჯერ 11 მეტრიდან დაჰკრა ზუსტად, შემდეგ კი, აეკის მცველებს შეცდომა არ აპატია.

ბაიერნი და აიაქსი ფლეი ოფში გავიდნენ. ვინ რომელი ადგილით, ამას ბოლო ტურში ამსტერდამში გადაწყვეტენ. ბენფიკამ კი, ევროპის ლიგაზე გადაინაცვლა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 5 | 4 | 1 | 0 | 12:2 | 13 |
| 2.აიაქსი | 5 | 3 | 2 | 0 | 8:2 | 11 |
| 3.ბენფიკა | 5 | 1 | 1 | 3 | 5:11 | 4 |
| 4.აეკი | 5 | 0 | 0 | 5 | 2:12 | 0 |

**ბოლო ტური:**

**აიაქსი-ბაიერნი; ბენფიკა-აეკი.**

### ფ ჯგუფი

**ლიონი-მანჩესტერ სიტი 2:2**

**ლიონი.** გრუაპამა

1:0 კორნეტი (55), 1:1 ლაპორტე (62), 2:1 კორნეტი (81), 2:2 აგუერო (83)

ეს ჯგუფი გატანილი გოლებით ძალიან შედეგიანი გამოდგა. ამასთან, ბევრი ამოუცნობი შედეგი დაფიქსირდა. უფრო მთავარი ის არის, რომ გულშემატკივრებმა ამით სიამოვნება მიიღეს.

ახლაც ელოდნენ, რომ შინ წაგებული მატჩის შემდეგ სიტი ამჯერად იოლად გატეხავდა ლიონს, მაგრამ ფრანგები ისევ ყოჩაღად გამოიყურებოდნენ და ახლოსაც იყვნენ ფლეი ოფის საგზურთან, ორჯერაც უგებდნენ ფავორიტად მიჩნეულ მეტოქეს, მაგრამ კუნ აგუერომ ამ მიზნის შესრულება გადაუდო, თუ ლიონი საერთო მოახერხებს ბოლო ტურში სასურველი შედეგი მიიღოს.

**ჰოფენჰაიმი-შახტარი 2:3**

**ზინსჰაიმი.** რეინ არენა

0:1 ისმაილი (14), 0:2 ტაისონი (15), 1:2 კრამარიჩი (18), 2:2 ცუბერი (40), 2:3 ტაისონი (90)

**გაძევება:** სალაი (ჰოფენჰაიმი 69)

დონეცკის შახტარმა მიმდინარე ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე პირველი გამარჯვება მოიპოვა და შანსი დაიტოვა, ფლეი ოფში გავიდეს. საამისოდ, დონბასელებს შინ ლიონის დამარცხება ესაჭიროებათ.




შახტარს სიტიც წაეხმარა, რომელმაც ლიონს გამარჯვება არ დაანება და ჰოფენჰაიმიც, ვინაც ბლომად შეცდომები დაუშვა და მეტოქეს უფრო მეტი შანსი დაუტოვა.

სიტი უკვე ფლეი ოფშია, მეორე საგზურისთვის ვინც იბრძოლებს, ზემოთ ვთქვით, ჰოფენჰაიმს კი ევროპალიგაზე გადანაცვლების შანსი აქვს, მაგრამ საამისოდ თავად უნდა მოუგოს სიტის, ხოლო ლიონმა შახტარი უნდა დაამარცხოს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 5 | 3 | 1 | 1 | 14:5 | 10 |
| 2.ლიონი | 5 | 1 | 4 | 0 | 11:10 | 7 |
| 3.შახტარი | 5 | 1 | 2 | 2 | 7:15 | 5 |
| 4.ჰოფენჰაიმი | 5 | 0 | 3 | 2 | 10:12 | 3 |

**ბოლო ტური**

**სიტი-ჰოფენჰაიმი; შახტარი-ლიონი.**

### ჯ ჯგუფი

**რომა-რეალი 0:2**

**რომი.** ოლიმპიკო

0:1 ბეილი (47), 0:2 ვასკესი (59)

როგორი გათიშულიც არ უნდა ჩანდეს მადრიდის რეალი, ჩემპიონთა ლიგაზე თავის საქმეს მაინც ყოჩაღად ასრულებს. მადრიდელებმა ტურით ადრე გაინაღდეს ჯგუფში პირველი ადგილი. რომას კი, პლზენმა უშველა, რომელმაც მოსკოვში ცსკას მოუგო და იტალიური გუნდისთვის ბოლო ტურს მნიშვნელობა აღარ აქვს.

რეალმა კი საქმეში მოიგო. მართალია, რომას ჰქონდა რამდენიმე მომენტი და ურეალურესიც კი, მაგრამ მადრიდელთა მოგება მაინც კანონზომიერია.

**ცსკა-პლზენი 1:2**

**მოსკოვი.** ლუჟნიკი

1:0 ბლაშიჩი (10პ), 1:1 პროჰაზკა (56), 1:2 გეიდა (81)

44-ე წუთზე პროჰაზკამ ვერ გაიტანა პენალტი

ცსკას ჰქონდა შანსი, ფლეი ოფში გასვლისთვის ებრძოლა. საამისოდ შინ ჩეხური პლზენი უნდა დაემარცხებინა. იგებდა კიდეც, მაგრამ საბოლოოდ წააგო და ახლა ფლეი ოფში გასვლა კი არა, ევროპის ლიგაზე გადასვლაც კი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა.

ბოლო ტურში ცსკა მადრიდს ესტუმრება, ხოლო პლზენი შინ მიიღებს რომას. სადღეისოდ არმიელებს და პლზენს თანაბარი, 4-4 ქულა აქვთ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 5 | 4 | 0 | 1 | 12:2 | 12 |
| 2.რომა | 5 | 3 | 0 | 2 | 10:6 | 9 |
| 3.პლზენი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:15 | 4 |
| 4.ცსკა | 5 | 1 | 1 | 3 | 5:9 | 4 |

**ბოლო ტური**

**რეალი-ცსკა; პლზენი-რომა.**

### ჰ ჯგუფი

**იუვენტუსი-ვალენსია 1:0**

**ტურინი.** ალიანს სტადიუმი

1:0 მანჯუკიჩი (59)

იუვენტუსმა მალე გამოიტანა დასკვნები მანჩესტერთან წაგებული მატჩის შემდეგ და მთელი კონცენტრაციით ითამაშა ვალენსიასთან. ცხადია, შედეგიც მიიღო და ტურინელები ვადამდე გავიდნენ ფლეი ოფში.

ვალენსიაც 3 ქულისთვის იყო ჩასული ტურინში, რათა ჯგუფიდან გასვლის შანსი ჯერ კიდევ შეენარჩუნებინა, ჰქონდათ კიდეც მომენტი, როდესაც ანგარიში გახსნილი არ იყო, მაგრამ ვერ გამოიყენეს და საბოლოოდ ის მიიღეს, რაც მთლიანობაში ლოგიკური იყო.

**მანჩესტერი-იანგ ბოიზი 1:0**

**მანჩესტერი.** ოლდ ტრაფორდი

**1:0 ფელაინი (90)**

ბევრი იწვალა მანჩესტერმა, რათა ფლეი ოფში გასულიყო და მხოლოდ მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში მოახერხა სასურველი შედეგის მიღება. გოლი კი, ვარცხნილობაშეცვლილმა მარუან ფელაინმა გაიტანა.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ჯგუფურ ეტაპზე მანჩესტერს წინა 2 საშინაო შეხვედრაში გოლი არ ჰქონდა გატანილი და მესამეც აქეთკენ მიდიოდა, მაგრამ...

მანჩესტერელთა ფრე ვალენსიას შანსი იყო, თუმცა ჟოზე მოურინიოს შეგირდებმა საქმე სათუოდ არ გაიხადეს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 5 | 4 | 0 | 1 | 8:2 | 12 |
| 2.მანჩესტერი | 5 | 3 | 1 | 1 | 6:2 | 10 |
| 3.ვალენსია | 5 | 1 | 2 | 2 | 4:5 | 5 |
| 4.იანგ ბოიზი | 5 | 0 | 1 | 4 | 2:11 | 1 |

**ბოლო ტური**

**იანგ ბოიზი-იუვენტუსი; ვალენსია-მანჩესტერი.**

# ბრაიტნერს ვიპ-ლოჟაში შესვლა აუკრძალეს



გერმანული მედიის ცნობით, მიუნხენის ბაიერნის პრეზიდენტმა, ული ჰიონესმა თავის ყოფილ მეგობარსა და ბავარიული კლუბის ლეგენდას, პაულ ბრაიტნერს „ალიანც არენაზე“ ვიპ-ლოჟაში გამოჩენა აუკრძალა. ეს იყო იმის გამოძახილი, რომ ბრაიტნერმა ბაიერნის ბოსები ოქტომბერში გამართული პრესკონფერენციის გამო, სახალხოდ გააკრიტიკა.

ბრაიტნერმა დაადასტურა, რომ ჰიონესმა „ალიანც არენის“ ვიპ-ლოჟაში გამოჩენა აუკრძალა:

– ბაიერნის ფინანსურმა დირექტორმა, მისტერ დრეზენმა დამირეკა და მითხრა, რომ ული საპატიო სტუმრის სტატუსით აღარ შემიშვებს. ვუთხარი, რომ ამას ველოდებოდი და ვიპ-ლოჟაში არის ზოგიერთი სახე, რომლის დანახვაც არ მსურს. გადავწყვიტე, კლუბს დავუბრუნო ჩემი 2 საპატიო ბარათი, არ მსურს ისეთი შთაბეჭდილება დავტოვო, რომ უფასო ბილეთებს ვსაჭიროებ.

პაულ ბრაიტნერსა და ული ჰიონესს შორის კონფლიქტი მას შემდეგ წარმოიშვა, რაც ოქტომბერში გამართული პრესკონფერენციის შემდეგ ბრაიტნერმა რეკორდმაისტერის ბოსები სახალხოდ გააკრიტიკა, მის კრიტიკაში კი ნათქვამი იყო:

– ამ პრესკონფერენციით მათ ის სამუშაო ჩამოანგრიეს, რომელიც კლუბმა ბოლო წლებში გაატარა, რათა ქედმაღლობიდან ამოსულიყვნენ. მე ჯერ კიდევ დეპრესიაში ვარ, რადგან არასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ბაიერნი ასეთ სისუსტეს გამოავლენდა. ული ჰიონესისთვის ბაიერნი ყოველთვის ოჯახი იყო. დღეს ამ ოჯახის შვილებმა უნდა თქვან – ჩვენ გვრცხვენია მამის გამო.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# რივერის და ბოკას მატჩი არგენტინაში არ ჩატარდება

სამხრეთამერიკული ფეხბურთის გაერთიანებამ რივერ პლეიტისა და ბოკა ხუნიორსის საპასუხო მატჩამდე მომხდარ ინციდენტზე იმსჯელა და საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო. კონმებოლის გადაწყვეტილებით, კოპა ლიბერტადორესის ფინალი არგენტინაში აღარ გაიმართება. ასევე დაადგინეს მატჩის



ჩატარების თარიღიც – შეხვედრა 8 ან 9 დეკემბერს გაიმართება. თუმცა, სად, ეს ჯერ არ გადაუწყვეტიათ.

თავისთავად ცხადია ისიც, რომ ბოკა ხუნიორსის პრეზიდენტს, ანხელიჩს სურდა, რივერ პლეიტი დასჯილიყო და გუნდებს საპასუხო მატჩი აღარ ეთამაშათ, თუმცა როდოლფო დონოფრიომ (რივერის პრეზიდენტი) კლუბის დაცვა მოახერხა და საპასუხო მატჩის გაუქმება შეხვედრაზე არ განუხილავთ.

მოლაპარაკებებს დაესწრო რობერტ ჰარისონი. პარაგვაის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა კლუბებს ფინალის ჩატარება პარაგვაიში, ასუნსიონში შესთავაზა. არსებობს კიდევ 2 ვარიანტი – მატჩის ჩატარება ბრაზილიაში ან იტალიაში. იტალიის ვარიანტი თავიდანვე გამორიცხა. კონმებოლი ფინალს სამხრეთ ამერიკაში ჩაატარებს და ეცდება, რომ მასპინძელი ქვეყანა მალე მოძებნოს.

გაგიკვირდებათ და კომნებოლს თავისი კანდიდატურა შესთავაზა კრასნოიარსკმაც, სადაც ამჟამად მინუს 9 გრადუსი ტემპერატურაა. ეს წინადადებაც უარყოფილი იქნა.

# დაკარგულ ძაღლს ქვეყნის მეორე ბოლოში მიაგნეს



აშშ-ში წლინახევრის წინ დაკარგულ ძაღლს ქვეყნის მეორე ბოლოში მიაგნეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ამერიკული გამოცემა ავრცელებს.

ჰასკი სახელად სინატრა უილისის სახლიდან ნიუ-იორკში 2016 წელს, თავისი 14 წლის პატრონის ზიონის გარდაცვალებიდან მცირე ხანში დაიკარგა. გოგონა თავისი მეგობრის სახლში პისტოლეტთან დაუდევარი მოპყრობის შედეგად დაიღუპა. გოგონას მამამ ლეზმორმა ძაღლის ძებნაში მთელი ქალაქი გადაჩხრიკა, მაგრამ ვერსად მიაგნო. რამდენიმე თვის შემდეგ მამაკაცმა ხელი ჩაიქნია და ძებნა შეწყვიტა.

მიმდინარე წლის ნოემბერში ფლორიდის შტატში ნიუ იორკიდან 1,7 ათასი კილომეტრის დაშორებით, სინატრა 13 წლის როუზ ვერილმა აღმოაჩინა. მისმა მშობლებმა მეგობრის ჟანა ბალდის დახმარებით ძაღლის პატრონის პოვნა მოახერხეს.

უცნობია, თუ როგორ მოახერხა სინატრამ ასეთი მანძილის გავლა და ცოცხალი დარჩენა.

# ბრიტანელი დედის მაგალითით მოიხიბლა და წონაში თავადაც დაიკლო

ბრიტანეთის დარემის საგრაფოს ქალაქ ბილინჰემის მცხოვრებმა მას შემდეგ დაიკლო ორჯერ წონაში, როდესაც მასზე დედის წარმატებამ გახდომაში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

24 წლის სტეფ საიკსმა აღიარა, რომ ყოველთვის ზედმეტი წონისგან იტანჯებოდა, მაგრამ საკუთარ თავზე კონტროლი სრულად დაკარგა 2015 წელს მამის მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ. ის სახლში ჩაიკეტა, არავის ნახვა არ სურდა და არც არსად დადიოდა. მხოლოდ ჭამაში პოულობდა შვებას.

– განდეგილი გავხდი. თავს უბედურად ვგრძნობდი, საკუთარ გარეგნობაზე აღარ ვზრუნავდი. ჩემთვის ცხოვ-



რებამ აზრი დაკარგა, ვფიქრობდი, რომ ვის რაში აინტერესებდა, გამხდარი ვიქნებოდი თუ მსუქანი, – განაცხადა გოგონამ. ახალგაზრდა მამაკაცი, რომელთან ერთადაც ის ცხოვრობდა, სიტუაციაში საერთოდ არ ერეოდა.

გოგონას დედა კარენი, უკიდურესად იყო შეწუხებული თავისი შვილის ცხოვრების ასეთი წესით. ამიტომ მან გადაწყვიტა, თავად ჩაწერილიყო გახდომის მსურველთა კლუბში და იმედი ჰქონდა, რომ მის მაგალითს მისი შვილიც მიბაძავდა. მართლაც დედის მიერ მიღწეული შედეგით აღფრთოვანებული სტეფი მალევე გაერთიანდა კლუბში. გოგონამ მკვეთრად შეცვალა ცხოვრების წესი, გადავიდა ჯანსაღ კვებაზე და მეგობარ მამაკაცს დაშორდა.

სტეფმა 76 კილოგრამი დაიკლო წონაში და ამჟამად 85 კილოგრამს იწონის.

– ახლა უკვე თავს სრულიად სხვაგვარად ვგრძნობ. ადრე ჩემთვის ტანსაცმელს მხოლოდ ინტერნეტ-მაღაზიების დახმარებით ვიძენდი, სახლიდან მხოლოდ დედასთან შესახვედრად მივდიოდი, სადაც ისევე, როგორ ჩემ სახლში, დივანზე წამოწოლილი ვატარებდი დროს. აქამდე ვერ დამიჯერებია, სარკეში არეკლილი გამოსახულება თუ მე ვარ, – აღიარა ბრიტანელმა.

# ცხრა წლის გოგონამ ტერეზა მეის კექსი გამოაცხო




ცხრა წლის გოგონამ გამოაცხო დეკორირებული კექსი დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ტერეზა მეის გამოსახულებით და ეს მის მხარდასაჭერად გააკეთა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ის მეის მიმართ სიმპათიით მას შემდეგ განიმსჭვალა, როდესაც მამამ უთხრა, რომ ახლა პრემიერ-მინისტრს ბრექსიტის გამო რთული დროება უდგას.

ეს ინფორმაცია პემიერ-მინისტრისთვის ცნობილი გახდა და მან ამ ისტორიის შესახებ რადიოსადგურ ბი-ბი-სის ეთერში ისაუბრა.

– ამ კექსზე იყო გზავნილი. მასში ნათქვამი იყო, რომ მამა შვილს იმ რთული კვირის თაობაზე ესაუბრა, რომელიც მე გადავიტანე და გოგონას სურდა, რომ მე გავიღიმო, – განაცხადა მეიმ.

მან იქვე დაამატა, რომ მხარდამჭერ შეტყობინებებს მთელი ქვეყნიდან იღებს.

# ამერიკელ მყვინთავს თავს ზვიგენი დაესხა



ამერიკის სამხრეთ კაროლინას შტატის მცხოვრებს, რომელიც ბაჰამის კუნძულებზე წყალქვეშა ნადირობით იყო დაკავებული, თავს კარიბის რიფების ზვიგენი დაესხა.

ორი მეტრი სიგრძის ზვიგენი 29 წლის უილ კრაუზეს ზურგის მხრიდან მიუახლოვდა და კბილები თავსა და კისერში ჩაავლო, შემდეგ კი გაუშვა. მამაკაცის თქმით, მას ზვიგენი არ დაუნახავს და მხოლოდ ძლიერი დარტყმა იგრძნო, რასაც ღრჭიალის ხმა მოჰყვა და იგრძნო, რომ სისხლი მოსდიოდა.

– მანამდე ვერ მივხვდი, რომ ეს ზვიგენის ნაკბენი იყო, სანამ წყლის ზედაპირზე არ ამოვედი, – იხსენებს კრაუზე. თავდასხმის მომენტი ვიდეოზე მისმა მეგობარმა გადაიღო. ისინი სასწრაფოდ ამოვიდნენ წყლიდან ნავში და უსაფრთხო ადგილზე აღმოჩნდნენ. წყალქვეშ მონადირეს თავის ტვინის შერყევა აქვს, მას ასევე ნაკერები დაადეს ჭრილობებზე.

# კიმ კარდაშიანის ფანატს პლასტიკური ოპერაციის გამო პრობლემები შეექმნა



ამერიკელი ტელევარსკვლავისა და პლასტიკური ქირურგიის თაყვანისმცემელმა დუნდულების გადიდების ოპერაცია გაიკეთა და ნეკროზი მიიღო. თუმცა მან განმეორებითი ოპერაციის გაკეთება მაინც გადაწყვიტა.

უესტ-მიდლენდსის საგრაფოს ქალაქ დადლის მცხოვრებმა ჯორდან პარკმა დუნდულების გაზრდის და დაჭიმვის ოპერაცია თურქეთის ქალაქ სტამბულში გაიკეთა და მასში 8,5 ათასი ფუნტ სტერლინგი გადაიხადა.

ოპერაციის შემდეგ 27 წლის ბრიტანელი ორი თვის განმავლობაში ნეკროზს მკურნალობდა.

– ჩემ მარჯვენა დუნდულაზე ჩირქით სავსე ხვრელი გაჩნდა. მასში იმპლატანტიც კი მოჩანდა. უბრალოდ აუტანელი ტკივილები მქონდა, იძულებული ვიყავი ანტიბიოტიკები მიმეღო, – განაცხადა პარკმა.

როგორც კი ის გამოჯანმრთელდა, მეორე თურქულ ქალაქ იზმირში გაემგზავრა, სადაც კიდევ ხუთი ათასი ფუნტი სტერლინგი გადაიხადა დუნდულების ზომის საკუთარი მუცლიდან აღებული ცხიმის დახმარებით გაზრდაში.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# გიორგი დემეტრაძე: „ქართველები ამბიციური ხალხი ვართ“

დასაწყისი მე-9 გვერდზე

დამნაშავეა, მაგრამ მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს მათი დამსახურება რუსული ფეხბურთის წინაშე. ჩემი შეხედულებით, ეს ფეხბურთელები თავდებით უნდა გამოეშვათ.

***– თავად 2 წელი ქართულ ციხეში გაატარე. რას იტყვი კოკორინისა და მამაევის შესახებ?***

– ორწელიწადნახევარი! სულელმა სააკაშვილმა დამამწყვდია „ქურდული ტრადიციების“ გამო. რა არის „ქურდული ტრადიციები“? 6 წლის ასაკიდან ფეხბურთს ვთამაშობდი. ამ ავადმყოფთან რას გააწყობ? მას სიარულზე, საუბარსა და ჭამაზეც კი ეტყობა, რომ სულიერად ავადმყოფია, მკურნალობა ესაჭიროება.

***– რა რჩევას მისცემდი კოკორინსა და მამაევს?***

– კოკორინს და მამაევს რაც შეეხება, მათ უნდა მოიცადონ. დარწმუნებული ვარ, მათ პატივისცემით ეპყრობიან. ისინი დაფასებული ხალხია. 100 პროცენტით დარწმუნებული ვარ, ყველაფერი კარგად იქნება.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ასტროპროგნოზი

## 29 ნოემბრისათვის



**ვერძი** – ოჯახში ჰარმონიული ატმოსფერო სუფევს. მატერიალური მდგომარეობა უკეთესობისკენ იცვლება. **კურო** – ჯანმრთელობაზე იზრუნეთ. ერიდეთ კამათსა და საქმის გარჩევებს. მიიღეთ მხოლოდ მსუბუქი საკვები. **ტყუპები** – ფინანსური მდგომარეობა არასტაბილურია. წვრილმანებს ყურადღებას ნუ მიაქცევთ. დაბრკოლებების გადალახვაში მეგობრები დაიხმარეთ. **კირჩხიბი** – იზრუნეთ ახლო ნათესავებზე. თუ შესაძლებლობა მოგეცემათ, მათ მატერიალურად დაეხმარეთ. **ლომი** – არავინ მოატყუოთ. პირობა შეასრულეთ. კარგი დღეა შემოქმედითი თვალსაზრისით. **ქალწული** – გრანდიოზულ მიზნებს ნუ დაისახავთ. უმჯობესია, დარჩენილი საქმეები დაამთავროთ. **სასწორი** – პასიური დღეა. უპრინციპობა და სიზარმაცე თქვენს საქმიანობაზე ნეგატიურად აისახება. **ღრიანკალი** – ქრონიკულ დაავადებებს ნებაზე ნუ მიუშვებთ. დროულად იმკურნალეთ. გათავისუფლდით ყოველგვარი წყენისაგან. **მშვილდოსანი** – დაისვენეთ აქტიურად. ასევე კარგი იქნება შემოქმედებით სფეროში საქმიანობა. **თხის რქა** – ბიზნესში გიმართლებთ. პარტნიორებთან შეხვედრა თქვენ სასარგებლოდ დამთავრდება. **მერწყული** – გარემოს შეცვლა, მოგზაურობა ნერვებს დაგიმშვიდებთ. მოგიხდებათ ასევე სპორტი, ცურვა, ფიტნესი. **თევზები** – რეალობის აღქმას ნუ დაკარგავთ. სიტუაცია ადეკვატურად შეაფასეთ და გადაწყვეტილებები მხოლოდ ამის შემდეგ მიიღეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ




**შვეულად:** 1. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 2. ბუნებრივი აირის უდიდესი საბადო საფრანგეთში; 3. მეფის დროშის სახელწოდება ძველად საქართველოში; 4. გერმანული პარფიუმერული ფირმა; 5. ლოგარითმის წილადური ნაწილი; 8. უდაბნო აფრიკაში; 9. ვარსკვლავთა მთლიანი სისტემა; 12. ცისკრის, განთიადის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 14. ქართული მინერალური წყალი; 16. ქართველი საოპერო მომღერალი.

**თარაზულად:** 1. ბალნეოლოგიური კურორტი აზერბაიჯანში; 6. მეთუნეობის ხელოვნება; 7. მანძილის საზომი ერთეული ასტრონომიაში; 9. ფრანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 10. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი; 11. კონიაკის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 13. ჩქარტემპიანი ჩეხური ცეკვა; 15. ფულის ერთეული ავღანეთში; 17. აეროპორტი ლონდონში; 18. მეცნიერების, ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწე; 19. გია დანელიას კინოკომედია; 20. ზღვისპირა კურორტი ყირიმში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. მიკადო; 2. ბობი; 3. გალომანია; 4. დუომო; 5. ვისკოზა; 8. სეტერი; 9. სამტრედია; 12. ტაპირი; 14. ხახული; 16. აყირო.

**თარაზულად**: 1. მზეჭაბუკი; 6. ხანჯლური; 7. კურსები; 9. სოპოტი; 10. მოკო; 11. ლეჩხუმი; 13. მახტა; 15. კადიმა; 17. ხარფუხი; 18. რიბოკი; 19. ოფელია; 20. რონალდუ.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ბაჩანა; 2. აურა; 3. დემაგოგია; 4. ბზიფი; 5. ვაქცინა; 8. ვეზუვი; 9. ჩაკვეტაძე; 12. მაკაბი; 14. აილამა; 16. ულისე.

**თარაზულად**: 1. ბაბანეური; 6. გეოდეზია; 7. ჩხავერი; 9. ჩაჟაში; 10. ფიცი; 11. კუბრიკი; 13. ფრაზა; 15. მალიბუ; 17. კაპრალი; 18. მატანი; 19. პრემია; 20. ბესელია.

## სალიტა ჩუბინიძე და გიორგი აფციაური გოგონას მშობლები გახდნენ



იუმორისტები გიორგი აფციაური და სალიტა ჩუბინიძე გოგონას მშობლები გახდნენ. პატარას ფოტოები სალიტამ სოციალურ ქსელში გაავრცელა.

გიორგი და სალიტა 6 წლის წინ დაქორწინდნენ. ეს მათი მეორე შვილია. წყვილს პირველი შვილი ბიჭი – გაბრიელი ჰყავს, რომელიც პატარა დაიკოს ყველაზე მეტად ელოდებოდა.

სალიტა ჩუბინიძე და გიორგი აფციაური ცნობილები მას შემდეგ გახდნენ, რაც იუმორისტულ პროექტში „თქვენი შოუ“ გამოჩნდნენ. გიორგი აფციაური მიხეილ სააკაშვილის პაროდიით მანამდეც იყო ცნობილი, თუმცა „თქვენი შოუ“ მისთვის უმნიშვნელოვანესი აღმოჩნდა.

## რობერტ სტურუა რუსეთში დააჯილდოვეს




რეჟისორი რობერტ სტურუა რუსეთში დააჯილდოვეს. რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ჯილდო ფესტივალის „რეჟისურის გაკვეთილები“ მიიღო, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ მოსკოვში ტარდება.

წლევანდელ ფესტივალზე საკონკურსო პროგრამაში წარმოდგენილი იყო რობერტ სტურუას, რიმას ტუმინასის, კამა გინკასის, ადოლფ შაპიროს და სხვა ცნობილი რეჟისორების ნამუშევრები.

რობერტ სტურუამ ფესტივალის ფარგლებში წარადგინა მოსკოვის თეატრ „ეტ ცეტერაში“ დადგმული სპექტაკლი „რევიზორი. ვერსია“ და სპეციალური ჯილდოც დაიმსახურა.

## ბესიკ დუღაშვილმა იძულებით დახურული სამხატვრო სტუდია ისევ გახსნა



მხატვარმა ბესიკ დუღაშვილმა 3-წლიანი იძულებითი პაუზის შემდეგ, სამხატვრო სტუდია ისევ გახსნა.

ინფორმაცია ამის შესახებ ხელოვანმა თავად გაავრცელა:

– ვიცი, ყველა ჩემს გულშემატკივარს გაუხარდება!

ვიცი, ყველა ჩემი მეგობარი, კეთილისმყოფელი და გულშემატკივარი აიტაცებს ამ ამბავს და გააზიარებს, ახლობლებს ეტყვის, კეთილ, თბილ სიტყვას დაასველებს...

3-წლიანი იძულებითი პაუზის შემდეგ სტუდია სწავლას განაახლებს!

მერე რა, რომ ფართი შესაფერის შენობაში არაა...

სამაგიეროდ, ადვილი მისასვლელ-მისაგნებია... სუფთაა... ნათელია...

მოწაფეებსაც ხალისით დახვდება და სტუმრებსაც ვუმასპინძლებთ შეძლებისდაგვარად.

## 23 წლის ლუკა ალიბეგაშვილის დასახმარებლად საქველმოქმედო პოეზიის საღამო გაიმართება



29 ნოემბერს ილიაუნის თეატრში გაიმართება საქველმოქმედო პოეზიის საღამო 23 წლის ლუკა ალიბეგაშვილის დასახმარებლად.

ღონისძიებაში მონაწილეობას იღებენ პოეტები გიორგი გულუა, ლიკა ბურდული და ელენე ჩიქოვანი.

ბილეთების შეძენა ნებისმიერ მსურველს ილიაუნის თეატრის სალაროში შეეძლება. ბილეთის ფასი 10 ლარია. შემოსული თანხა სრულად გადაირიცხება ლუკა ალიბეგაშვილის დასახმარებლად.

ლუკა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის მთავარი სპეციალისტია. მას დაუდგინდა მწვავე ლეიკემია. ლუკას დასახმარებლად ილიაუნის თეატრმა ითამაშა სპექტაკლი „რიჩარდ მესამე“ და გაყიდული ბილეთებიდან შეგროვილი თანხა სრულად გადარიცხა ლუკას ანგარიშზე. ის თურქეთში იმყოფება და მკურნალობის კურსს გადის.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## თორნიკე გოგრიჭიანის ფილმმა საფრანგეთში გრან პრი მოიპოვა



მუსიკისა და დრამის თეატრის მსახიობმა თორნიკე გოგრიჭიანმა საფრანგეთში გრან პრი დაიმსახურა.

საერთაშორისო კინოფესტივალზე მსახიობმა ფესტივალის მთავარი პრიზი არა როგორც მსახიობმა, არამედ როგორც რეჟისორმა მიიღო, თორნიკე გოგრიჭიანის სადებიუტო მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ანდრო“ საუკეთესოდ დასახელდა.

ფილმის სიუჟეტი პოსტსაბჭოთა საქართველოში მცხოვრები, უმუშევარი არქიტექტორის, ანდროს შესახებ გვიყვება, რომელიც ცდილობს ოჯახს ფინანსურად დაეხმაროს. გაავსებს მანქანას ოჯახიდან გადაყრილი გამოუსადეგარი ნივთებით და გაემგზავრება თურქეთისკენ სავაჭროდ, თან მცირეწლოვანი შვილიც ახლავს. მამა-შვილი საზღვრიდან დაიმგზავრებს თურქ თანერს და ეს შეხვედრა მათთვის საბედისწერო აღმოჩნდება.

ფილმის რეჟისორი და სცენარისტი თორნიკე გოგრიჭიანია, ოპერატორი – ირაკლი მეტრეველი. ფილმში მონაწილეობენ ანდრო ჯაფარიძე, დათო როინიშვილი, გაგა შიშინაშვილი...

ეს „ანდროს“ პირველი საერთაშორისო წარმატება არ არის. ფილმმა გასულ წელს თეირანის მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალზეც გაიმარჯვა, მან ჯილდო საუკეთესო სცენარისთვის და საუკეთესო ფანტასტიკისათვის დაიმსახურა.

## კომპოზიტორი ოთარ ტატიშვილი საკუთარ ნახატებს გამოფენს



კომპოზიტორი ოთარ ტატიშვილი ფართო საზოგადოების წინაშე მხატვრის ამპლუაში წარდგება.

„ფერწერა & ბგერწერა“ – ასე ეწოდება გამოფენას, რომელიც ნაძალადევის მედიათეკაში გაიმართება.

ესტპოზიციაზე წარმოდგენილი იქნება ოთარ ტატიშვილის ფერწერული ნამუშევრები, გამოფენის პარალელურად კი კომპოზიტორის როგორც ცნობილი, ასევე ახალი მუსიკალური ნაწარმოებები შესრულდება.

საღამოში მონაწილეობას მიიღებენ მარიკო ებრალიძე, ნოდიკო ტატიშვილი, მზია ჭილაძე, პიანისტები ჭაბუკა პაჭკორია, ასლან ჩიქოვანი, მევიოლინე მარიანა კირაკოზოვა, ფლეიტისტი ნანუკა გოლიაძე, კონცერტმაისტერები ლიკა ხორბალაძე, ვიკა სურმავა, მსახიობები ნატო ჩხეიძე, დავით გერსამია და პოეტი ნანა ცინცაძე.

საღამოს მუსიკოსი, კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზატორი რუსუდან მუმლაძე გაუძღვება.

## ოთო ნემსაძემ ოთარ რამიშვილის სიმღერა აფხაზეთის კაპელასთან ერთად ჩაწერა



ოთარ რამიშვილის ცნობილი სიმღერა „ბულბულის სტვენა შაშვის გალობა“ ოთო ნემსაძემ ახლებურად ჩაწერა.

ოთომ სიმღერის ჩაწერა აფხაზეთის სახელმწიფო კაპელასთან ერთად გადაწყვიტა და აქტიურ რეპეტიციებსაც გადის. მომღერალმა აფხაზეთის კაპელის ხელმძღვანელს ზვიად ბოლქვაძეს და კაპელის წევრებს გენიოსები უწოდა. ზვიადმა ოთოსთან და ნიჭიერ მომღერლებთან ერთად სულ სხვანაირად ააჟღერა ოთარ რამიშვილის სიმღერა.

რეპეტიციის ჩანაწერი ინტერნეტში გავრცელდა, რომელსაც უამრავი მოწონება, გაზიარება და დადებითი კომენტარი აქვს.

ოთო ნემსაძე:

– აი, ზუსტად ესაა, რაც მაფიქრებს, რომ ყველაფერი გამოვა!

ეს კაპელა საოცრებაა!

ზვიადზე ისედაც ყველამ ვიცით!

და მთავარი – 3 დღეში 100.000 ნახვა და უამრავი გაზიარება უბრალოდ რეპეტიციას. მადლობა, თქვენ რომ ხართ, ძალიან დიდი იმედია ბევრ უიმედობასთან. თქვენი ოთარა.

## ჯვრის მონასტრის დაზიანებული ქვების კონსერვაცია დასრულდა



კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და ხელოვნების ნიმუშთა კონსერვაციის ცენტრის თანამშრომლობის საფუძველზე მცხეთის ჯვრის მცირე ტაძრის ქვის საკონსერვაციო სამუშაოების მეორე ეტაპი შესრულდა.

სამუშაოები მიზნად ისახავდა ტაძრის ინტერიერში დაზიანებული ქვების კონსერვაციას, გაფხვიერებული და განშრევებული ზედაპირების კონსოლიდაციის, წინა პერიოდის ამორტიზირებული სარესტავრაციო ჩარევების მექანიკურ მოხსნას და ნაკლული ადგილების რეკონსტრუქციას.

პროექტი წარმოადგენს ორი წლის წინ დაწყებული მცირე ჯვრის ქვის საკონსერვაციო სამუშაოების შემდეგ ეტაპს და მას ხელმძღვანელობს პროფესორი ნანა კუპრაშვილი, კონსულტანტი სტეფანო ვოლტა, სამუშაო პროცესში კი ჩართულები არიან რესტავრატორ-კონსერვატორები და სტუდენტები თბილისის სამხატვრო აკადემიიდან, რომლებიც პრაქტიკას გადიან უშუალოდ ქვის კონსერვაციის დისციპლინაში.

მცხეთის ჯვრის მცირე ტაძარი მდებარეობს მტკვრისა და არაგვის შესართავთან, კლდოვანი მთის წვერზე. ნაგებობა 545-586 წლებშია აგებული. დღესდღეობით ტაძრის სამშენებლო მასალის მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა. დროთა განმავლობაში ბუნებრივი პირობების ზემოქმედებისა და სტრუქტურის შესუსტებამ სხვადასხვა დაზიანებები წარმოქმნა. ამ დროისთვის ტაძრის ინტერიერში, ზემოთ აღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე შემდეგი ტიპის დაზიანებები აღინიშნება: ქვის ზედაპირის აქერცვლა, ქვის განშრევება, ქვის გაფხვიერება, ქვის ზედაპირის სახეცვლა.

ხელშეკრულების თანახმად შესრულდა შემდეგი საკონსერვაციო სამუშაოები: ქვის ზედაპირის კონსოლიდაცია, წინა პერიოდის სარესტავრაციო ჩარევების მექანიკური მოცილება, ქვის ნაკლული ადგილების რეკონსტრუქცია კირხსნარით და ქვის წყობას შორის არსებული ნაკერების ინექტირება.

### კალეიდოსკოპი

## მოძალადე, რომელიც მსხვერპლს გველის კბენით ემუქრებოდა, თავად დაიღუპა



ჩინეთში მამაკაცმა, გვარად ფანმა, შხამიანი გველის დამუქრებით ქალი გააუპატიურა. ამის შემდეგ კი მას რეპტილიამ უკბინა და ის გარდაიცვალა.

ინციდენტი ცზიანსის პროვინციის ქალაქ ფუჩჟოუში გვიან საღამოს მოხდა. პოლიციას მიმართა ქალმა და განაცხადა, რომ ფანმა ის სასტუმროს ნომერში შეიტყუა და მას შემდეგ აიძულა, მასთან სექსით დაკავებულიყო, როდესაც თავისი სამი შხამიანი გველი დაანახა. მას გველის კბენისგან დაღუპვის შეეშინდა და დათანხმდა.

ამის შემდეგ კი ის პოლიციაში მივიდა, ხოლო ფანი სააბაზანოში რეპტილიებთან გასართობად შევიდა.

პოლიციელები ქალის მიერ დასახელებულ სასტუმროში მივიდნენ და საწოლში მწოლარე მამაკაცის ცხედარი აღმოაჩინეს. მის სხეულზე გველის ნაკბენი შენიშნეს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მამაკაცს სასწრაფო დახმარება არ გამოუძახია.

ერთ-ერთმა რეპტილიამ ნომრიდან გასვლა მოახერხა და პოლიციელებს მისი დაჭერა დასჭირდათ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## მოშლილი ბანკომატი ხალხს ფულს ურიგებს




ამერიკის ტეხასის შტატის ქალაქ ჰიუსტონში მოშლილი ბანკომატი 20 დოლარიანის ნაცვლად 100 დოლარიანს გასცემდა.

ცნობა ბანკომატის მოშლის შესახებ სწრაფად გავრცელდა სოციალურ ქსელებში და მასთან ხალხმა დაიწყო თავმოყრა. მალე იქ შეგროვილთა შორის დაიწყო შეხლა-შემოხლა, რამაც პოლიციის ყურადღება მიიქცია. ადგილზე შერიფის თანაშემწეების მისვლის შემდეგ ბანკომატი დახურეს.

ამერიკის ბანკის განცხადების თანახმად, მოწყობილობის ასეთი უცნაური მოქმედება 100 დოლარიანი კუპიურების არასწორი ჩატვირთვით აიხსნება. იმ ადამიანებს, რომლებსაც ბანკომატმა ზედმეტი თანხა მისცა, ამ თანხის დატოვების უფლება მისცეს.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

**29 ნოემბრისთვის**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 2.6611 |
| ევრო | — 3.0102 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | — 3.3937 |
| 100 რუსული რუბლი | — 3.9914 |

## ამინდის პროგნოზი 29 ნოემბრისთვის




## სილამაზის დედოფალს ტიტული ეროტიკული ფოტოებისთვის ჩამოართვეს



სილამაზის კონკურსის „მის შოტლანდიის" გამარჯვებულს ტიტული იმ ფოტოსურათების გამო ჩამოართვეს, რომელზეც ის შიშველი მკერდითაა აღბეჭდილი.

35 წლის ტელეწამყვანმა ნატალი პაველეკმა კონკურსის ორგანიზატორები არ გააფრთხილა, რომ ახალგაზრდულ წლებში მამაკაცების ჟურნალისთვის მოწყობილ ფოტოსესიებში მონაწილეობდა. მათ ამის შესახებ ანონიმური წერილით შეიტყვეს, რომელიც კონკურსის შედეგების გამოცხადების შემდეგ მიიღეს. მისი ავტორი ინფორმაციის გამოქვეყნებით იმუქრებოდა იმ შემთხვევაში თუ გამარჯვებულის დისკვალიფიკაცია არ მოხდებოდა.

პაველეკმა კონკურსის ორგანიზატორების რეაქციას „ძველმოდური ბოდიშეიმინგი" უწოდა და განაცხადა, რომ სულაც არ რცხვენია საკუთარი წარსულის გამო.

– მე ვიყავი გამოსახული მამაკაცებისთვის განკუთვნილი მსოფლიოში ყველაზე დიდტირაჟიანი ჟურნალის გარეკანზე და ბრიტანეთის ყველაზე პოპულარულ კონკურსში გავიმარჯვე, – განაცხადა პაველეკმა.

კონკურსის ორგანიზატორები ამტკიცებენ, რომ ფოტოსურათები ტიტულის ჩამორთმევასთან არაფერ შუაშია.

– მან დედოფლის გვირგვინი იმის გამო კი არ დაკარგა, რომ შიშველი მკერდით პოზირებდა, – განმარტავს კონკურსის „მის დიდი ბრიტანეთის" წარმომადგენელი, – მან ტიტული ინფორმაციის შეუტყობინებლობის გამო დაკარგა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი

ინგლისელს ჰყავს ცოლი და საყვარელი. უყვარს ცოლი.

ამერიკელს ჰყავს ცოლი და საყვარელი. უყვარს საყვარელი.

ფრანგს ჰყავს ცოლი და საყვარელი. უყვარს ცოლიც და საყვარელიც.

რუსს ჰყავს ცოლი და საყვარელი. უყვარს არაყი.

●●●

ქმარი ცოლს ეუბნება:

– მოდი, ჩვენ შვილს მამაჩემის სახელი დავარქვათ.

– ალკოჰოლიკი?

●●●

მეზობელმა მიხოს ეზოსთან ჩაიარა და ხედავს, მიხო ტუალეტში ზის, რომელსაც კარი არ აქვს. მეზობელმა მიაძახა:

– ჯო, კარი ვერ დაკიდე?

– კარი რა ჩემ ფეხებად უნდა, მაიპარავენ?

●●●

დედამ 12 წლის შვილი ფსიქიატრთან მიიყვანა და შესჩივლა:

– სულ ინტერნეტში ზის, შიშველ გოგონებს უყურებს და თავის ასოს აწვალებს...

– აბა ერთი მარტო დაგვტოვეთ, – ეუბნება ფსიქიატრი ბავშვის დედას.

დედა გარეთ გავიდა. ექიმი კი ბავშვს მიუბრუნდა და ეკითხება:

– გინდა ცნობა მოგცე, რომ ჯანმრთელი ხარ?

– მინდა.

– მაშინ, მიდი, სასწრაფოდ პორნო ვებ-გვერდების მისამართები ჩამომიწერე.

●●●

გამოცდა მიმდინარეობს. სტუდენტი საპასუხოდ გამოდის და ხელში პატარა ფურცელი უჭირავს, რომელზეც სულ რამდენიმე წინადადება წერია.

გამომცდელი ეკითხება:

– და თქვენი პასუხები სად არის?

– თავში.

– და ეს რა არის?

– ეს ისაა, რაც თავში არ ჩაეტია.

●●●

ტელეფონის ზარი:

– ალო, სახანძროა?

– დიახ, გისმენთ.

– აქ პოლიციელები და ექიმები ჩხუბობენ და იქნებ თქვენ გააშველოთ?

●●●

რესტორანში მამაკაცი გოგონას მიმართავს:

– ქალიშვილო, თქვენ ცეკვავთ?

– შენ რა, დებილი ხარ? ვერ ხედავ, ვზივარ და ვჭამ!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## ბოაი



ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.




**ანშენი ბუსინ ვან**

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა




**სიაო ჰუო ლუო დან**

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.


## ჟოზე მოურინიო: „დე ხეამ რამდენჯერმე გადაგვარჩინა"



მანჩესტერ იუნაიტედმა საკუთარ მოედანზე შვეიცარიული იანგ ბოისი ბოლო წუთზე გატანილი გოლის წყალობით 1:0 დაამარცხა. ეს გოლი ფელაინიმ გაიტანა.

მატჩის შემდეგ ჟოზე მოურინიომ განაცხადა, რომ ასეთი თამაში მის გუნდს არ ეკადრება და, რომ არა დე ხეა, შესაძლოა მანჩესტერს საერთოდ წაეგო კიდეც:

– გუნდისგან გაცილებით უკეთეს თამაშს ველი, თუმცა ბედნიერი ვარ იმით, რომ გავიმარჯვეთ და შემდეგ ეტაპზე გავედით. ყველამ მადლობა უნდა ვუთხრათ დე ხეას, რადგან მან რამდენჯერმე გადაგვარჩინა. მსგავსი თამაშის ხილვა მომავალში არ მსურს.

## დავით ხოჭოლავა: „ჯგუფიდან გასვლა შეგვიძლია"



შახტარის მცველმა დავით ხოჭოლავამ ჰოფენჰაიმის წინააღმდეგ მოედანზე 90 წუთი დაჰყო და თავის გუნდს გამარჯვებაში დაეხმარა.

ბოლო ტურში შახტარი საკუთარ მოედანზე ლიონს მიიღებს და გამარჯვების შემთხვევაში შახტარი მერვედფინალში გავა.

ხოჭოლავას აზრით, ეს რეალურია.

– ყველაფერი ჩვენს ხელშია და უნდა ვეცადოთ ჯგუფიდან გასვლას, რადგან შანსი მოგვეცა. ლიონი ძლიერი გუნდია, მაგრამ ჩვენ საკუთარ მოედანზე ვთამაშობთ და ეს ფაქტორი უნდა გამოვიყენოთ, – განაცხადა ხოჭოლავამ.

ჰოფენჰაიმთან შახტარმა ბოლო წუთზე 3:2 მოიგო.

## არსენალს ხამესის შეძენა სურს



ლონდონის არსენალი ბაიერნის კოლუმბიელი ფორვარდით ხამეს როდრიგესით დაინტერესდა, რომელიც ბოლო პერიოდში ბაიერნის ძირითად შემადგენლობაში ველარ ხვდება და ამ გუნდიდან წასვლა სურს.

არსენალს ხამესის ყიდვა მაინც გაუჭირდება, რადგან მასზე უფლებები მადრიდის რეალს აქვს და ლონდონელები ორივე კლუბს უნდა მოელაპარაკონ. არსენალი მზად არის, ამ ტრანსფერში 60 მილიონი ევრო გადაიხადონ.

## ჯაკომო ბონავენტურა სეზონის ბოლომდე ვერ ითამაშებს



მილანის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი ჯაკომო ბონავენტურა სეზონის ბოლომდე ვერ შეძლებს თამაშს, რადგან მან მუხლზე გაიკეთა ოპერაცია და ამის გამო მინიმუმ 8 თვე მოუწევს უქმად ყოფნა.

ბონავენტურას არყოფნა მილანისთვის დიდი დანაკლისია, რადგან ჯაკომო წლების მანძილზე მილანის ერთ-ერთი ლიდერი იყო.

მილანის მთავარმა მწვრთნელმა ჯენარო გატუზომ ბონავენტურას მალე გამოჯანმრთელება უსურვა და თქვა, რომ ის გუნდს ძალიან დააკლდება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## რიბერი სეზონის ბოლოს ბაიერნს დატოვებს



ბაიერნის ფრანგი ნახევარმცველი ფრანკ რიბერი სეზონის ბოლოს ბაიერნს დატოვებს. რიბერის კონტრაქტი ეწურება და ბაიერნი მასთან ახალი ხელშეკრულების გაფორმებას არ აპირებს. რიბერი უკვე 35 წლის არის და ის უკვე ველარ აჩვენებს ისეთ თამაშს, როგორც ადრე, თუმცა ფრანგი შემტევი კარიერის დასრულებას არ აპირებს და შესაძლოა ის სამშობლოში დაბრუნდეს.

სავარაუდოდ, ბაიერნს დატოვებს არიენ რობენიც, რომელსაც წლის ბოლოს ასევე უმთავრდება ბაიერნთან კონტრაქტი.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ცოცხალი ორგანიზმის აგებულების მარტივი ერთეული; 2. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 3. წერილობითი ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს მისი დამდები მხარეების ვალდებულებებს; 4. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 5. ქართული ლიტერატურული ჟურნალი; 8. ესპანური ავიაკომპანია; 9. სპირტიანი სასმელების კონტრაბანდისტი აშშ-ში; 12. დოღი გრძელ დისტანციაზე საქართველოში; 14. კუთხე საქართველოში; 16. მონასტერი ხარაგაულის რაიონში.

**თარაზულად:** 1. კლდეში ნაკვეთი ქალაქი შიდა ქართლში; 6. პოლონური სამეჯლისო ცეკვა; 7. მეცნიერული ნაშრომის, ლექციის, სტატიის მოკლე შინაარსი; 9. ინგლისური მსუბუქი ავტომობილი; 10. ჩეხური მოტოციკლეტი; 11. სასიამოვნო სურნელება; 13. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 15. ავსტრალიური თუთიყუში; 17. მინის ლაბორატორიული ჭურჭელი; 18. ღვინის საბატონო გადასახადი ძველად საქართველოში; 19. სახელმწიფო ევროპაში; 20. წიაღისეულის მოპოვების ადგილი.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

